

საერთო მკვლეტი

№19 (372) • 1 ივნისი, 2016 წ. • ბაგოლის ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ღირსი 1.20 ლ.

ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი თანამოქალაქეებს



იბეჭდება წერილის სრული ვერსია

„ჩემი ხედვა, რომელიც ამ წერილში გადმოვეცი და რომელსაც კიდევ უფრო დეტალური და გაშლილი სახით სექტემბერში შემოგთავაზებთ, განპირობებულია მხოლოდ ჩვენი ქვეყნის წარმატების სურვილით. არავითარი სხვა მოტივი არ მამოძრავებს – არც ხელისუფლებაში მოსვლისთვის ვიბრძვი, რაც დავამტკიცე კიდევ, არც რაიმე თანამდებობა მიზიდავს და არც მატერიალურ გამორჩენას ველი. მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით არანაირი პირადული გეგმები ან მიზნები არ გამაჩნია. ჩემი ერთადერთი ფიქრი ის არის, რომ უახლოეს 10-15 წელიწადში კეთილად დავაგვირგვინოთ ის საქმე, რომელსაც ჩვენი წინაპრები საძირკველს საუკუნეების განმავლობაში უყრიდნენ და თქვენთან ერთად მეც და ჩემს ოჯახსაც გვიხაროდეს საქართველოში ცხოვრება“.

**ქართველი ოკუპანტები
საქართველოს წინააღმდეგ**

**ოღენის გუბერნატორის პარკაში
დასასრულს უახლოვდება**

**ის, რასაც „რესპუბლიკელები“
აკეთებენ, კალიან ჰგავს
სახელმწიფო გადატრიალებას...**

**„თუ კვლავ იმ ადამიანებს მიანდის
ყველაფერი, რომლებიც ორგანო თამაშს
თამაშობენ, „ქართული ოცნება“
სამეგრელოში არჩევნებს წააგებს“**



ვამბოტ „ნასეზი“ და
ვგულისხმოტ „დიდი ჰაატა“,
ვამბოტ ჰაატა და
ვგულისხმოტ „ნასმოძრაოტა“!

რედაქტორის გვერდი

ვანტანო ხარჩილაძე:

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წელი აღვნიშნეთ.

მართალია, დამოუკიდებლობის დღეს კი აღვნიშნავთ, მაგრამ სინამდვილეში ჩვენ დღესაც არ ვართ დამოუკიდებელი ქვეყანა, რადგან წინა ხელისუფლებებმა, ფაქტობრივად, ოკუპაციურმა რეჟიმებმა, საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნების, საკუთარ სამშობლოზე ძალადობის ნებართვის საფასურად, ნაწილ-ნაწილ გაყიდეს და გაასხვისეს ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

საქმე ის არის, რომ, 1991 წელს აღდგენილმა დამოუკიდებლობამ მხოლოდ 1992 წლის დეკემბრამდე გასტანა.

ლიზებით, დავრწმუნდებით, რომ ორივე ეს ძალა იქცეოდა როგორც ოკუპანტი, როგორც დამპყრობელი, როგორც სადამსჯელო-საგზაუკუციო დესანტი და, აქედან გამომდინარე, მათთვის სახელწოდება ქართველი ოკუპანტი ზედმიწევნით ზუსტად არის მორგებული.

2012 წლის ოქტომბერში „ქართული ოცნების“ ბაზარჯვია მსოფლიო ქართველი ოკუპანტების დამარცხება და საქართველოს დამოუკიდებლობის და თავისუფლებისათვის ბრძოლისათვის გადამდგომი პირველი რეალური ნაბიჯები, რომლებსაც დღემდე უამრავი დაბრკოლება და ბარიკადი ხვდება წინ.

სამწუხაროდ, ჩვენ, ჯერჯერობით,

ვილის ღია ფარილი გამოქვეყნდა.

ამ წერილის შესახებ ვრცელი საუბარი მომავლისთვის გადავდოთ. ახლა კი ერთ რამეს ვიტყვი: ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი თანამოქალაქებისადმი ერთგვარი დასტურია იმისა, რაზეც აქ წარმოდგენილ სარედაქციო სტატიაში ვისაუბრე.

ღიას, 2012 წლის ოქტომბერში ბიძინა ივანიშვილმა ქართველ ხალხთან ერთად და პირიქით, ქართველმა ხალხმა ბიძინა ივანიშვილთან ერთად შვიდობიანად, სისხლისღვრის ბარჯვია დაასრულა სამართაშორისო მავნათესანი წილნაყარი ქართველი ოკუპანტების ოცდობიანი პარპაზი საქართველოში და ქართული

საცილო და კომიკურია იმ ადამიანების, იმ ფსევდოპოლიტიკოსების ქაქანი და ყაყანი, რომლებსაც თავის ცხოვრებაში ქვა ქვაზე არ დაუდვიათ, მაგრამ ბედავენ და ბიძინა ივანიშვილს ედრებიან და ეტოლებიან – შენ განზე გადაეჭი, ჩვენ მიგვიშვი საქმესთან და ნახავ, რა სასწაულებს დავატრიალებთო.

სწორედ ამათზეა ნათქვამი: ბუნჭყველი ბაგეში ბურჭალობს...

ქართულ პოლიტიკაში ბუნჭყველები მომრავლდნენ, ბუნჭყველები, რომლებიც ლომებად და ვეფხვებად ასალებენ თავს.

პოლიტიკა საქართველოში ფულის კეთების ყველაზე იოლ, მარტივ საშუალებად იქცა.



ბიძინა ივანიშვილი:
არასდროს მიტრიახია საქველმოქმედო პროექტებით თუ წამოწყებებით, მაგრამ, ვინაიდან, ამდენი ცილისწამება მოედინება, იმისათვის, რომ ჩემს თანამოქალაქებს ზუსტი ინფორმაცია და შესაბამისად მართებული გადაწყვეტილებების მიღების საშუალება ჰქონდეთ, კიდევ ერთხელ სრული პასუხისმგებლობით მინდა ვთქვა, რომ არანაირი ბიზნესინტერესი საქართველოში არ მაქვს. ყველა ის პროექტი, რომელსაც ვახორციელებ, მხოლოდ იმას ემსახურება, რომ ჩვენი ქვეყანა უფრო სანდო და საინტერესო გახდეს ინვესტორებისთვის, უფრო მიმზიდველი – ტურისტებისთვის, ეს ყველაფერი ძალიან ადვილად შესამოწმებელია.

დამოუკიდებლობის აღდგენიდან ერთი წლის თავზე ქართველთა ერთმა ნაწილმა ცეცხლით და მახვილით დაამხო საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობა. ქართული წარმოშობის ოკუპანტებმა საქართველო დაიპყრეს და 2003 წლის ნოემბრამდე მარცხდნენ.

2003 წლის ნოემბრიდან ოკუპანტთა ძველ თაობას „ნაცმოძრაობის“ სახით ოკუპანტთა ახალი თაობა ჩაენაცვლა და ახლა იმან მარცხა და ყვლიფა ქვეყანა 2012 წლის ოქტომბრამდე. ქვეყნის მარცხა-ყვლიფას თან სდევდა გაუგონარი მანქანების რეპრესიები, მკვლელობები, უდანაშაულო ადამიანების მასობრივი დაპატიმრებები.

ქართველი ოკუპანტები, სახელად „ნაციონალიზმი“, უცხო ტომის ოკუპანტებზე გაცილებით სასტიკნი იყვნენ.

იქნებ ვინმეს ეხამუშება და ყურს სჭრის ერთი სიტყვა – **ქართველი ოკუპანტი.**

თუ შევარდნაძის და მისი პირდაპირი მემკვიდრის, სააკაშვილის, მმართველობის წლებს გავისხენებთ და გავაანა-

ბოლომდე ვერ გავთავისუფლდით ქართველი ოკუპანტებისგან, რომლებიც გამალებულნი ეშხადებიან რევანშისთვის და 2016 წლის არჩევნებში კვლავ ძალაუფლების ხელში აღებას აპირებენ.

საქართველო დღეს დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესშია.

ეს პროცესი ხანგრძლივი პროცესია და მისი ბოლომდე მიყვანა მხოლოდ თითოეული ქართველის თავდადებული ბრძოლის, შრომის, გონიერების, წინდახედულების შედეგად იქნება შესაძლებელი.

2016 წლის არჩევნები განსაკუთრებული მნიშვნელობის არჩევნებია.

ამ არჩევნებზე ქართველი ხალხი ქართველ ოკუპანტებს, „ნაციონალიზმს“ და მის საბაზისურ პარტიებს თუ დაუჭირებს მხარს, ჩათვალვით, რომ ეს იქნება ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების საბოლოო დასასრული.

P.S სანამ „საერთო გაზეთის“ ახალ ნომერს ვამზადებდით, **ბიძინა ივანიშ-**

სახელმწიფოს რეალური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის პირველი ნაბიჯები გადადგა.

ის კონკრეტული საქმეები, რაც ამ ოთხწელიწადის განმავლობაში გაკეთდა, სრულ უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეს ხელისუფლება ეროვნული ხელისუფლებაა, თუმცა არც ეს ხელისუფლება და არც ბიძინა ივანიშვილი ამის შესახებ არ ლაპარაკობს.

„საქმემან შენმან გამოგაჩინოსო“, – ნათქვამია.

იმ საქმეებით, რაც ერთ კაცს, ერთ ბიძინა ივანიშვილს აქვს საქართველოსთვის აქვს გაკეთებული და რომლებსაც ის გაკვრით, მხოლოდ რამდენიმე წინადადებით ახსენებს თავის წერილში, არ შეიძლება არ გაგაოცოს არა მარტო თავისი მანქანებით, არამედ პერსპექტივაზე გათვლილი მიზანდასახულობით და კონცეფციური მნიშვნელობით.

ის დღეს არა მხოლოდ აწმყოს, არამედ, პირველ ყოვლისა, საქართველოს მომავალს აშენებს.

ყოველივე ამის ფონზე როგორი სა-

მთავარია, სინდის-ნამუსი არ გაწუხებდეს და მეტყველების უნარი გქონდეს, ანუ ლაპარაკი შეგეძლოს და პირდაპირ ჰაერში შეგიძლია დიდი ფული მოჭრა.

მნიშვნელობა არ აქვს, რას ილაპარაკებ, მთავარია, ილაპარაკო და ილაპარაკო და ფულიც წამოვა...

ორასამდე ჰაერში ფულის მჭრელი „ცეხი“, ანუ პოლიტიკური პარტიაა საქართველოში და ყველა რაღაც პრივილეგიას და ყურადღებას ითხოვს.

– ჩვენ რატომ არ გვახსენა თავის წერილში, მხოლოდ „ნაციონალიზმი“ რომ ახსენაო, – ცხარობდა ამას წინათ ერთი ქალბატონი, რომლის პარტიაც ერთი კვირის წინათ დაფუძნდა.

ერთი კვირის წინათ დაარსებულ პარტიაზე რა უნდა ილაპარაკო, ჯერ რა გაგიკეთებიათ, ლაპარაკის გარდა?

ესეც არ იყოს, „ნაციონალიზმი“ ხომ ახსენა ივანიშვილმა?

ჰოდა, თქვენც და სხვებიც იმ „ნაციონალიზმში“ გიგულისხმათ, რადგან „ნაციონალიზმიდან“ ხართ წარმოშობით...

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვანტანო ხარჩილაძე
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალექსანდრე ბუხარაძის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; შპს (სბც) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის პოზიციას.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ან ორ კვირის ვალდებით. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იზაჩივრება შპს „საგამომცემლო ცენტრი“ მისამართზე: თბილისი, ალექსანდრე ბუხარაძის 164. ☑ ამ ნომერში აღნიშნულია სარედაქციო მასალები.

28 მაისს ახალ სპორტის სასახლეში პაატა ბურჭულაძის ახალი პარტიის „სახელმწიფო ხალხისთვის“ ყრილობა გაიმართა, რომელზეც პარტიის მიზნების შესახებ უნდა ესაუბრათ – თუმცა, ამის ნაცვლად, უნიჭოდ წარმოთქმული ზოგადი ფრაზები მოვისმინეთ, არაფრისმთქმელი ფრაზები, არაფრისმომცემი ზოგადი დაპირებები...

პაატა ბურჭულაძე ნიჭიერი მომღერალია, მაგრამ, როგორ გაირკვა, ცუდი მსახიობი და ცუდი ორატორია თურმე... არტიკულაციის პრობლემაც ჰქონია და ზოგჯერ სიტყვების დაბოლოებაზეც არ იწუნებს თავს, მაგრამ „მაგი“ არაა, ალბათ, მთავარი („მაგი“ ბატონი პაატას საყვარელი სიტყვაა, ამიტომ მის საპატივცემულოდ, დღეს ზმირად გამოვიყენებ), მთავარი ისაა, რომ ეს ყრილობა ძალიან გაუგებარე ბოლშევიკურ ლენინის დროინდელ გამოსვლებს: სახელმწიფო ვისთვის? – ხალხისთვის – განაცხადა პირველმა ბანმა (მერე რა, რომ მთავარი ლოზუნგიც ვერ დაიმასხვრა და ვერ გამოთქვა სწორედ, არც ბანერებს ახედა, სადაც სახელმწიფო ხალხისთვის ეწერა და არა ხალხისთვის, მაგრამ მაგიც წვრილმანია), შემდეგ ხელის აწევით დასვა კითხვა – სახელმწიფო ვისთვის? – დარბაზს გადახედა – ხალხისთვის – სკანირებდა დარბაზი და პაატასაც ტუჩთან სიამოვნების ღიმი აუთამაშდა, თავი დახარა, არ ვიცი, ღიმიის დასაფარად, თუ მორიდებულად და სიამაყით ჩაღაპარა – სწორია... ჩაბარა დარბაზმა გამოცდა, ბედნიერია ბელადი...

ბედნიერი ბელადის გზავნილებზე მინდობდა მესაუბრა, მაგრამ არ ჰქონია გზავნილები, არც პოლიტიკური, არც ნაციონალური და არც სოციალური, (სოციალურ გზავნილს ვერც გააკეთებდა, რადგან ჯანდაცვის საყოველთაო და სოციალურ პაკეტებსაც ვერ არჩევს ჯერ ერთმანეთისგან, რა ჰქნას, ბანია, მართლა ბელადი კი არა) ერთადერთი გზავნილი, რომელსაც ზმირად და შედარებით უკეთ გამოთქვამდა – კაცთმოყვარე და სამართლიანები ვიქნებითო, აი ნახავთ თუ არაო, ყველა ხელი-სუფლებზე უფრო კაცთმოყვარე და სამართლიანები ვიქნებითო, ეს სამართლიანობა და კაცთმოყვარეობა ჩვენი პარტიის მთავარი პრინციპიაო, შუღლით, მტრობით და ერთმანეთის შეურაცხყოფით კი არ მოვალთ სათავეში, არამედ ერთმანეთის პატივისცემით შევქმნით ახალ სახელმწიფოსო. (კომუნისტსაც თავის დროზე სამართლიანობისა და კაცთმოყვარეობის გამო დაუჭირებს მხარი ადამიანებმა და როგორ დაასრულეს, გვახსოვს კარგად, მაგრამ მაგიც კი არაა მთავარი), უფრო კაცთმოყვარე ვიდრე „ოცნებაო“, უფრო კაცთმოყვარე ვიდრე ბიძინა ივანიშვილია? – ეს უკვე სასაცილოა, რადგან „ოცნების“ ერთადერთი შეცდომა სწორედ ზედმეტი კაცთმოყვარეობა და ჰუმანურობაა, რომ არა კაცთმოყვარეობა, სიყვარული, არ იქნებოდა კოპაბიტაცია, რომ არა ზოგადად ადამიანის მიმართ პატივისცემა, ნაციონალების ახლა ცოცხები ექნებოდა ერთ

ადგილას გარტობილი და არ ექნებოდათ იმის თავი, პაატა ბელადად აერჩიათ...

პაატას ჰგონია, რომ მისი გუნდის მთავარი კრიტერიუმი გამოცდილება და პროფესიონალიზმია... პაატას ჰგონია, რომ მისი გუნდის დანაშაულებით განათლების სფეროს გააუმჯობესებს, სოფლის მეურნეობისთვის კი რაღაც სასწაულოქმედი წამალი აქვს გადამანახული... დიდი პროექტები არ ჰყოფნის ქვეყანასო – განაცხადა, მცირე ბიზნესსაც უნდა მივხედოთო... დიდი პროექტები არ ჰყოფნის ქვეყანასო, რომის ტაკოს ხილვის შემდეგ რამე თუ გამაკვირვებდა კიდევ, არ მეგონა, მაგრამ არ დაიჯერებოდა და საქართველოს თავისი როლი და ფუნქცია არ ჰქონია ჯერ მსოფლიოს რუკაზე, ამიტომ სულ ასე, არა-არა გვაპოვნინებენ პაატის ტები... ვიპოვით ამ ჩვენს როლსა და ფუნქციას, ქალბატონი ნინო ნადირაძე-კუზნაოვას დამხარებით, მერე რა, რომ ქალბატონი ნინო თავის თავს „მარტის ქალს უწოდებს, რომელსაც სულ სხვა და სხვა მხრიდან უქრის ქარი“, სამაგიეროდ მყარად იცის ვისი უფლებები

ეკ, რომის ტაკოს ხილვის შემდეგ რამე თუ გამაკვირვებდა კიდევ, არ მეგონა, მაგრამ არ დაიჯერებოდა და საქართველოს თავისი როლი და ფუნქცია არ ჰქონია ჯერ მსოფლიოს რუკაზე, ამიტომ სულ ასე, არა-არა გვაპოვნინებენ პაატის ტები... ვიპოვით ამ ჩვენს როლსა და ფუნქციას, ქალბატონი ნინო ნადირაძე-კუზნაოვას დამხარებით, მერე რა, რომ ქალბატონი ნინო თავის თავს „მარტის ქალს უწოდებს, რომელსაც სულ სხვა და სხვა მხრიდან უქრის ქარი“, სამაგიეროდ მყარად იცის ვისი უფლებები

ყანა გარდაცვლილებს დასტეროდა, ქვეყანა დაკარგულადაა ეძებდა – თქვენ ამ დროს რუსეთში რუსი დაღუპული ჯარისკაცების (დღეს რომ ოკუპანტებს უწოდებთ) ოჯახების დასახმარებლად საქველმოქმედო კონცერტს მართავდით...

ისე, ომზე გამახსენდა, გორიდან სოციალურ ქსელში გვრევენ: „გუმინ მოვიარე მთელი გორის მოსახლეობა, გორში არც გაბანტებული ბანი სჭირდებათ და არც მიშა“ ... ეკ, მართალია, თქვენ, როგორც ბრძანეთ მთელი საქარ-

როგორაა საქმე? რატომ გეუხერხულებათ, ბატონო პაატა, არ გეუხერხულოთ, ყველამ ვიცით, რა ტრაგედია დაატყდა თავს გირგვლიანების ოჯახს, ყველამ ვიცით, როგორ სასტიკად გაუსწორდნენ სანდრო გირგვლიანს, მაგრამ ასევე ყველამ კარგად ვიცით, რომ ამ მთავრობის პერიოდში მსგავსი დანაშაულებები აღარ ხდება, აღარავინ ჩაუტყობიათ ქუჩაში, აღარავინ დაუსჯიათ ასე სასტიკად, ციხეშიც აღარავისთვის გაუთხრიათ ცოცხი თუ ცოცარი... ასე, რომ, იყავით გულწრფე-

ბელადი

ვაგნობთ „ნაცები“ და ვგულისხმობთ „დიდი პაატა“ ვაგნობთ პაატა და ვგულისხმობთ „ნაცმოძრაობა“!

ნას, ბატონო პაატა? აკი, არაფერი კეთდება სახელმწიფოში? აკი, უფსკრულში მივექანებითო? ანუ დიდი პროექტები კეთდება საქართველოში? გაგახაროს, დემეტრე, ამას თუ ხედავთ... საგულისხმოა, რომ ის ახალი სპორტის სასახლეც, სადაც ყრილობა გაიმართეთ, ამ მთავრობის აგებულია...


ყველა ღირსეულმა და ნამდვილმა ბელადმა იცის, რომ გულისამაჩუყებელი ისტორიაც უნდა გაურიოს სიტყვაში, ისე, ვითომ შემთხვევით... არც ბატონმა პაატამ მოგვაკლო ამ სანახობას... მარო ბებოს, ლოგინად ჩავარდნილ მარო ბებოს სიხოვო, აღდგექ საწოლიდან, მოდი არჩვენებზე, ერთად გაემარჯვოთო... ცრემლის ეფექტი დაგავიწყდათ, ბატონო პაატა, ცრემლის ეფექტი... ეკ, საარჩევნო კანონებს მაინც რომ იცნობდეთ, გეცოდინებოდათ, არ სჭირდება მარო ბებოს ლოგინიდან ადგომა ხმის მისაცემად, სახლში მიუტანენ საარჩევნო ყუთს, თუ მას გადაადგილება უჭირს, ამიტომ შეეშვით საცოდავი, საწყალი, ავადმყოფი მოხუცების საწოლიდან წამოყრას, მხოლოდ იმიტომ, რომ გულისამაჩუყებელი ისტორიები შექმნათ, არაკაცურია, მინიმუმ.

დიდი პროცენტით გავიმარჯვებთ არჩევნებშიო – მაგრამ, ოპოზიციაც რა საჭიროაო? ოპოზიციაც ჩვენთან ერთად უნდა გაერთიანდესო, რაღაც აზრი რომ ჩამოვაყალიბოთო... ნეტარ არიან, მორწმუნენი და სჯერათ რომ პოზიციისა და ოპოზიციის გასაერთიანებლად, მინიმუმ იმის ცოდნა მაინცაა საჭირო რა აზრის ჩამოსაყალიბებლად ვერთიანდებით, თორემ რაღაც აზრები ჩემს 11 წლის შვილსაც უტრიალებს თავში და თქვენს ლოგინადჩავარდნილ მარამ ბებოსაც... ისევ და ისევ კომუნისტები გამახსენდა – არც იქ იყო საჭირო განსხვავებული აზრი, არც იქ ვავდათ ოპოზიციას, ან ვავდათ, მაგრამ მიწაში, უსახელო საფლავეებში...

უნდა დაიცვას: „მზად ვარ ჩავიქოლო და ჩემი უსაყვარლესი ფრენდისტი განახევრდეს, მაგრამ უნდა დავაფიქსირო ჩემი აზრი ერთსქესიანთა ქორწინების შესახებ! ეს ადამიანები არიან ჩვენი მოქალაქეები, ისინი არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დარჩენ კანონგარეშე! ეს ქორწინებასაც უნდა ეხებოდეს!

„არანაირი გრანტი არ მიმიღია, მართლა ასე ვიქობ“ – გრანტი არ მივიღიათ, ქალბატონო ნინო, სამაგიეროდ პოლიტიკური ასპარეზი მიიღეთ... ჰოდა, თქვენი დანაშაულებით, ბოლოს და ბოლოს, გავიგებთ, რა როლი და ფუნქცია გვაკისრია დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ილია ჭავჭავაძის შემკვიდრებებს... რამდენიმე თვის წინ, ნინო კუზნაოვა ფრენდებს სთხოვდა, 23.00 -ზე გადართეთ ტვ პირველზე, ვისაც ჩემი ნახვა და მოსმენა მოგიწოდებდათ, ლამაზი თავსაფარი მიკეთაო – ბიჭოს, ვის უკვირს ლაზათიანი ან ულაზათი თავსაფარი და ამ ქალმა და მისნაირებმა უნდა დამიგეგმონ საგარეო პოლიტიკა? არა, ბატონებო, არც ეგ გამოვა.

არ უნდა ვიყოთ ჩვენ ევროპელებზე და ამერიკელებზე ნაკლებიო – არ უნდა ვიყოთ კი არა, არ ვართ, ბატონო ბელადო, არც ევროპელებზე ნაკლები ვართ და არც ამერიკელებზე – სიყვარულიც მათზე მეტი ვიცით, ლალატიც, ტყუილიც და საწყალი ადამიანების ფულის გამოყენებაც პირადი მიზნებისთვის უკეთ შეგვიძლია. საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოდ ვერ იარსებოსო დასავლური ფარის გარეშეო – და თუ დასავლური ფარის ქვეშ აპირებთ შეიფუფოთ, თუ დასავლური ფარის ქვეშ აპირებთ სილაში თავის ჩარევას, თუ არ აპირებთ რომ იპოვოთ და გამოძეწოთ კი არა, გაიხსენოთ და გაიგოთ რა არის საქართველოს ფუნქცია და როლი – მაშინ სასაუბროც არაფერი ყოფილა, არც იმის გახსენება იქნება საჭირო, როცა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ქვე-



თველო მოვივლიათ და თქვენი მამაკებელი ადამიანი არ შეგხვდებათ, მაგრამ შეიხედეთ სოციალურ ქსელზე და ნახავთ, რომელი კუთხიდან რა გინებას გითვლიან... სამართლიანობაზე განახსენდა, ბატონმა პაატამ ბრძანა: მეუხერხულება კიდევ, რომ დღეს აქ ზის სანდრო გირგვლიანის მამაო... ამ ადამიანით მანიპულირებდნენ საარჩევნო... ჰოო? და ყრილობაზე ამ ადამიანის სახელის ხსენება საარჩევნოდ მისი სახელის მანიპულირებად არ ითვლება, თუ

ლი, სანდროს მამის დანახვა კი არ გეუხერხულებათ, ეს დაწერილი სიტყვა იყო, იცოდით, სადაც უნდა მჯდარიყო, იცოდით, რომ მოსაწყვეი ჰქონდა გადაცემული, იცოდით, რომ უნდა გეხსენებინათ, აი, ვისი დანახვაც გეუხერხულებათ და ნამდვილად დაიბნეით, ეს სოსო ალავიძე გახლდათ. ამიტომ უარყავით სამჯერ... ჰოდა, ნეტარ არიან, მორწმუნენი...

თამაზა კომპლავა
555 46 08 04

საქართველო უპირველეს ყოვლისა!

„საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი და საზოგადო მოღვაწე ნიკუშა შინგაშვილი:

– ბატონო ნიკუშა, ახლანახან, დამოუკიდებლობის 25 წელი ვიხეივით. რას იტყვით ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის შესახებ?

– საერთოდ, ყველა დამოუკიდებლობა ფორმალურადაა დეკლარირებული, რასაც გაფრთხილება უნდა. ეს დიდი პასუხისმგებლობაა, რომელსაც განვითარება, შენარჩუნება სჭირდება, მით უმეტეს, ისეთ ტერიტორიებდაკარგულ ქვეყანაში როგორც საქართველოა. დამოუკიდებლობა იმ თაობებზე მოგვიტანეს, რომელთა ოცნებაც და სურვილიც სწორედ ეს იყო. მაგრამ როცა დამოუკიდებელი ხდები მერე, გონიერება, პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინო, რათა საქართველოს პატრონობაზე, მსახურობაზე და არა გაყიდვაზე, გაძარცვაზე იზრუნო, რასაც ბოლო ოცწლეულია ვხედავთ. საქართველოს ნაირი პატარა ქვეყნისთვის ეს მაინც მოსალოცია მით უმეტეს, საბჭოთა კავშირის ბრწყინვალედან გამომდინარე, რაც ადვილი ნამდვილად არ იყო. ვფიქრობ, დიდი სიბრძნე გვძარტებს, რათა ეს ყველაფერი შევინარჩუნოთ, განვავითაროთ და გავამყაროთ.

– თუმცა, კლასიკურ არშემდგარ სახელმწიფოში როგორც საქართველოა, ფორმალურიდან რეალურობაზე გადასვლა ადვილი არ იქნება.

– იცი რა, სახელმწიფო 10-20 წელიწადში ვერ შედგება, მით უმეტეს, თუ ამ პერიოდში ბევრი არასწორი ნაბიჯი გადადგი. ჩვენ რთულ პროცესში ვართ შესული და სწორ გზას უნდა დავადგეთ – ნელ-ნელა

წარმატებული ქვეყნის მისაღწევად საჭირო თვისებები უნდა შევიძინოთ, ეს არამხოლოდ ატრიბუტიკა, არამედ შინაარსი უნდა იყოს, რის სურვილსაც ხელისუფლებაშიც ვხედავ და საზოგადოებაშიც. კარგად უნდა დავგვემთო რა ტიპის განათლება, ეკონომიკა თუ საგარეო ურთიერთობები გვინდა. ეს ყველაფერი ერთი მთლიანი ჯაჭვია. ვფიქრობ, ბოლო 25 წლის მანძილზე, არაგონივრული ნაბიჯების გადადგმით, საკმაოდ დიდი დრო დავკარგეთ.

– ცოტა ხნის წინ, ამ თემაზე, „საერთო გაზეთთან“ ფილოსოფოსმა ზაზა შათირიშვილმა ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, მოვიდა დრო გავხედოთ დამოუკიდებელნი და საკუთარი პოლიტიკა თავად წარვმართოთ.

– ალბათ, ზაზამაც ის იგულისხმა, რომ ამისთვის სათანადო თვისებები უნდა შევიძინოთ, გონივრულად მოვიქცეთ და ყველაფერი სწორად დავგვემთო. სრული დამოუკიდებლობა ბუნებაში არ არსებობს, ყველაფერი ერთმანეთზეა დამოკიდებული. დედამიწაზე საარსებო პირობები რომ არსებობს, ეს მთვარეზე, ვარსკვლავებზე, მზეზე და ა.შ. დამოკიდებული. ფილოსოფიურად თუ შევხედავთ, დამოუკიდებელი არაფერი არსებობს. დამოუკიდებლობა, თავისუფლება ეს სულიერი შეგრძნებაა, ესაა ქალღმერთის იმის დეკლარირება რომ არ ხარ დაპყრობილი, მონა, არამედ ხარ თავისუფალი, დამოუკიდებელი. დანარჩენი, ცხოვრებაში, ყველაფერი დამოკიდებულებაზეა აწყობილი. ახლა, დამოუკიდებლობის დღეს ვხუმრობდი კიდევ – ხომ შეიძლება ერთი დღე სწორად დამოკიდებულების დღედ გამო-

ვაცხადოთ. ცხოვრებაც ასეთია. დამოუკიდებლობა რაზეც ახლა ვსაუბრობთ, სწორი დამოკიდებულებით, სწორი გადაწყვეტილებით უნდა შეინარჩუნო. რა თქმა უნდა, ქვეყანამ დამოუკიდებლობის დღე უნდა აღნიშნოს თუნდაც იმიტომ, რომ ეს ადამიანებში განცდას აღძრავს, ჯერ ერთი, პატივს მიაგებ მათ ვინც იბრძოდა და ამ დრომდე მოვიდა, ეს გზა უამრავმა ადამიანმა გამოიარა. პირადად, ამ ამბავში, 28 წლიდან ჩაბმული ვარ. სწორედ ამ ასაკის ვიყავი, როცა ეროვნული მოძრაობა იწყებოდა. მაშინ ყველას გვინდოდა დამოუკიდებლობა, თუ ჩვენს მიწა-წყალზე მშვიდობა დიდი ხნით დაისადგურებს, ყველაფერი ნელ-ნელა გამოსწორდება. ადამიანებმა გარდა თავის პირად ცხოვრებაზე, კეთილდღეობაზე ზრუნვისა, უნდა დაიწყონ ფიქრი, ანალიზი თუ სად არიან, რა ქვეყანაში, რას ნიშნავს ეს მათთვის, მხოლოდ სადღეგრძელოების თქმით უნდა გამოვიდეთ, ეს უნდა იყოს შეგნების, ყოველდღიური წუხილის, შრომის საგანი, ქვეყანა როგორც სახლი ისე უნდა აღვიქვათ. ხომ შრომობს ყველა თავისი ოჯახისთვის. იგივეა სამშობლო. როგორც შენს ოჯახს უვლი, ისევე უნდა მოუარო სამშობლოს.

– რეალურად, ოკუპანტი ძალისგან – „ნაციონალებისგან“ დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესი 2012 წლიდან დაიწყო. ბრძოლები შიდა ფლანგზეც გვიწევს.

– დიახ, ასეა. ხანდახან ხდებას-ხოლმე, რომ შიდა დაპყრობელი მოდის და მასთანაც გიწევს თავისუფლებისთვის ბრძოლა, მისი მოპოვება და ა.შ. რა მნიშვნელობა აქვს მტერი გარედან დაიპყრობს თუ



შიგნიდან. ეს შენი მდგომარეობაა, რომელსაც ვილაც უხეშად არღვევს და შენი უფლებებისთვის იბრძვი. აი, ეს მოხდა. სამწუხაროდ, მათ საქუთარი ხალხის მართვა დაპყრობის, შიშის, ძალადობის გზით მოინდომეს. ჩვენ ხომ ყველა მხრიდან ოკუპაციაში ვართ. ჩვენს ტერიტორიებზე რუსეთის ჯარი დგას. ასე, რომ გარე ოკუპანტთანაც გვიწევდა ბრძოლა და შიდასთანაც. ისტორიში, ასეთი მომენტები ხდება. ერთი დავძლიეთ და იმედია, მეორესაც დავძლევათ.

– ქართულ პოლიტიკაში გადმოინაცვლოთ. „ქართულმა ოცნებამ“ მეოთხე ფრილობა ჩაატარა და საზოგადოებას პოლიტსაბჭოს ახალი წევრებიც წარუდგინა. თქვენი მოლოდინი გამართლდა?

– „ქართულმა ოცნებამ“ ბევრი გააკეთა, მაგრამ ხალხმა ეს არ იცის – გზაც მეტი დააგეს ვიდრე „ნაციონალებმა“

და თან უფრო იაფად, გაზით და წყლითაც მეტად მოამარაგეს სოფლები, საყოველთაო დაზღვევამ და ც პეპატივის პროგრამამ უამრავი ადამიანი გადაარჩინა, მაგრამ ეს საკმარისი არაა იმიტომ, რომ ობიექტურად, ეს ქვეყანას იმ დგომარეობიდან გამოსვლაში ვერ ეხმარება რაც რეალურად ჩვენ გავიარეთ. მეტი სამუშაო ადგილი უნდა შეიქმნას. სამწუხაროდ, ქვეყანასთან დამოკიდებულებაში ანალიზი გვაკლია, ყველაფერს საკუთარი პირადი მუცლით განვსაზღვრავთ. ეს ძალიან ცუდი თვისებაა, ასე ქვეყანა ვერ განვითარდება. უნდა დაფიქრდეთ, რეალურად, სად ცხოვრობთ. ანალიზის უნარი გვაკლია. „ქართულ ოცნებას“, სუფთა პარტიულ არეალში, ასეთი ქარიზმატული ორატორები, მოსაუბრეები, პარტიის იდეოლოგიების სერიოზული დეფიციტი აქვს. ამიტომ, ხალხი ჩვენ მოგვმართავს – საზოგადოებას, გვეკითხება, რას ფიქრობთო. „ქართული ოცნების“ ერთადერთი ძალა ისევე და ისევე ბიძინა ივანიშვილია იმიტომ, რომ საზოგადოება მას, მის გაკეთებულ სიკეთებს და იმას ენდობა, მან თუ როგორი გარემო შეინარჩუნა. ვთვლი, რომ თავად პარტია „ქართული ოცნება“ ძალიან განსავითარებელია.

– ზოგჯერ რჩება შთაბეჭდილება, რომ გამარჯვება მარტო ბატონ ბიძინას უნდა. სხვები რას აკეთებენ?

– არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, გარედან მართლაც ასე ჩანს. მე არ ვარ „ქართული ოცნების“ პარტიულ ცხოვრებაში ჩართული, საერთოდ, არანაირი შეხება არ მაქვს. რაც შეეხება ბატონ ბიძინა ივანიშვილს, მისთვის „ქართული ოცნება“ ინსტრუმენტია თორემ, მისი სურვილი როგორც ჩემი, თქვენი და ყველა ნორმალური ადამიანის არის ქვეყნისთვის უკეთესი მდგომარეობის შექმნა,



ხალხისთვის უკეთესი ცხოვრების მოტანა. ეს პოლიტიკაა, მისთვის საჭიროა პარტია, რათა ეს მიზნები განახორციელოს. ბიძინა ივანიშვილს სურს თავის ქვეყანა აყვავდეს, უკეთ განვითარდეს და ხალხი ბედნიერად ცხოვრობდეს. მაგრამ ამას დრო სჭირდება. ვერ მოვიტყუებთ, რომ ორ წელიწადში შევიცარია ვიქნებით, როგორც ამას „ნაცები“ ამბობდნენ. პარტიული ცხოვრება რთულია. „ქართულ ოცნებას“ განვითარებას ვუსურვებ. მთავარი ყოველთვის მოქალაქე, საზოგადოებაა, გადაწყვეტილება ჩვენ უნდა მივიღოთ. „ქართულ ოცნებას“ როგორც პარტიას, დიდი ისტორია არ აქვს, თან ოთხი წელი კოალიციაში იყო. ფაქტობრივად, ცალკე პარტია ახლა ფუნქციონირებს, მას არანაირი ისტორია არ აქვს. ამიტომ, იოლი არაა. ხალხი მცნობს, იციან, რომ „ქართული ოცნების“ გულშემმატკივარი ვარ, მოდიან და თავისი ტკივილი ჩემამდე მოაქვთ. ზუსტად ვგრძნობ რა ხდება. ამიტომ, ამას ძალიან დიდი დაფიქრება უნდა. ხალხი

ეს ჩემზე ბევრად უკეთ იცინა თავად ზუგდიდელებმა, თელაველებმა და ა.შ.
 – მართლაც, სად არის ის ხალხი ვინც ბიძინა ივანიშვილთან ერთად 2012 წლის გამარჯვება მოიტანა?
 – დღეს ისინი სახლებში არიან, მაგრამ მათ იმდენად უყვარტ სამშობლო, აუცილებლად გამოჩნდებიან და იქ დადგებიან, სადაც საჭიროა. ჩვენ არაფრის დათმობას არ ვაპირებთ, ვიბრძვით იმის შენარჩუნებისთვის, რაც სიცოცხლის ბოლომდე საბრძოლველია. ასეთი ნონსესი არცერთ ქვეყანას არ უნახავს, რომ დამნაშავე თავისუფლებისთვის „იბრძოდეს“ და სხვა ადამიანების ჩაგვრის წინააღმდეგ გამოდიოდეს. სიტყვებს ვერ ვპოულობ, ეს უტიფრობის აპოთეოზია. ამიტომ, ვიმეორებ, არჩევნებზე უნდა მივიდეთ და „ნაციონალები“ პოლიტიკური რუკიდან გავაქროთ. ესაა ის, რისი გაკეთებაც ქართველ ხალხს არჩევნებზე შეუძლია. ყველას მოვუწოდებ, დაფიქრდით, მიბრძანდით და გააკეთეთ ეს ყველაფერი, თქვენს გასაკე-

მაც, გვესმის მასმედიის 80% მოსყიდულიაო. თქვენ, რა მოსაზრება გაქვთ?
 – ბატონმა ბიძინამ, ამ წერილით, საზოგადოებას ძალიან გულწრფელი, საინტერესო ანალიზი შესთავაზა. მისი სწორი, ღრმა ანალიზიდან ამჟამად ჩანს, რომ იგი არის ადამიანი, რომელიც ყოველგვარი პოპულიზმის გარეშე ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაზე ფიქრობს. რაც შეეხება მასმედიას, ვინ ვის მიეყვინა ამის ფაქტები არ მაქვს, მაგრამ მათი მუშაობის ხარისხი ყვითელზე ორიენტირია. ძირითადად, ისტერიკაზე, სენსაციებზე არიან გადასულნი, მიჰყვებიან ერთ კანონს – რეიტინგს. მაგალითად, „რუსთავი-2“-ს რომ უყურო და დაუჯერო, გარეთ, ალბათ, სირია გეგონება. „ნაცებს“ 2005 წლიდან ვეუბნებოდი რასაც დასთესთ იმას მოიმკით-მეთქი და ასეც მოხდა. ამათაც იგივეს ვეუბნები. ეს ისეთი კანონია, რომელიც კონსტიტუციაზე მაღლა დგას და ცხოვრებაში შენს გადადგმულ ნაბიჯს უკან გიბრუნებს. სი-



ყველაზე მეტად ელოდება რა სიას დადებენ.
 – სიით დაინტერესების გარდა, რას გინაირებთ მოსახლეობა?
 – მეკითხებიან, ვინ იქნება „ქართული ოცნების“ სიაში, ასევე, სად არის ის ხალხი, ვინც მანამდე იბრძოდა. ჩემი აზრით, „ქართული ოცნების“ წევრები კაბინეტებიდან უნდა გამოვიდნენ და ხალხს დაელაპარაკონ თუ მართლა სიმართლის გაგება უნდათ. ჩამოვიდნენ მანქანებიდან, დატოვონ დაცვა, გამოვიდნენ და ხალხს დაელაპარაკონ. ხალხმა უნდა უკარნახოს ვინ უნდათ. მათ არ იციან ვინ უნდათ ოპორტუნისტებს, ზუგდიდელებს, თელაველებს, აჭარლებს და ა.შ. არჩევნების წინ უნდა წავიდნენ და ხალხს დაეკითხონ, თუ ვის ენდობიან. პირადად რომ მკითხო, არ ვიცი ზუგდიდში ან ოპორტუნისტთა ვინ არის თავისი ბიოგრაფიით, შრომით პატივცემული ადამიანი, ამას მე ვერ ვუკარნახებ.

თებელს ნურავის გადააბარებთ. დიან, დიან, თქვენს გასაკეთებელს სხვა არავინ გააკეთებს, მერე არ ინანოთ. გვაკეთოთ მობილიზაცია ისე როგორც ეს 2012 წელს მოხდა.
 – სამშობლო მივიწყებულ ცნებად იქცა. ბოლო დროს თუ გსმენიათ ეს სიტყვა პოლიტიკოსებისგან?
 – სამწუხაროდ, ძალიან იშვიათად მესმის-ხოლმე. ყველაფერი ურთიერთდაპირისპირებაზე გადასული, ერთმანეთში მტყუნან-მართალს არკვევენ და სამშობლო გვერდზე რჩებათ. იმედია, საზოგადოებას, ხალხს სამშობლო არ დაუკარგავს და თუ პოლიტიკოსებმა დაკარგეს, ადეკვატურ მომავალსაც მიიღებენ.
 – ბიძინა ივანიშვილმა საზოგადოებას დაპირებული წერილით მიმართა. მან მედიის თავისუფლებაზეც ისაუბრა. ხელისუფლებამ მართლაც გაათავისუფლა მედია, მაგრამ მას ვედარ უპატრონა და ამიტომ

ხარბე და ტყუილი ყოველთვის უარყოფითად დაგვიბრუნდება. აი, ამაში არიან გახვეული. ქართული მასმედიის 80%-ს ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობა ნული აქვთ. ანალიტიკური, გულწრფელი, წესიერი ჟურნალისტური კორპუსის დიდი დეფიციტია. საზოგადოების ძალიან ნაწილი ქართული ტელევიზიების ყურებას უკვე გადაეჩვია, ჭკვიან მყურებელს თანდათანობით კარგავენ. თუ ვინმეს ქართველი ხალხი ასეთი გულუბრყვილო ჰკონია და ფიქრობს, რომ ამნებია დაგვემართა და „რუსთავი-2“ მოგვატყუებს, მაშინ ეს მათი პრობლემაა. და თუ მოგვატყუა, მაშინ ხალხის პრობლემა ყოფილა. ეს ყოფილა სერიოზული დაავადება, რომელიც მოსარჩენია. მაგრამ ქართველი ხალხი ბევრად ბრძენი მეჩვენება.

თამარ შველიძე
555 23 28 54

სააკაზვილის სამი სათაგური

ოდესღაც მიმამ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წარმატებით ჩასატარებლად ქართული პოლიტიკის არეულ-დარეულ სახელში სამი სათაგური ჩადგა — „გირჩი“, პაატა ბურჭულაძის პოლიტიკური მოძრაობა და გიორგი ვაშაძის ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია.
 მართალია, ამ სათაგურებს გარედან სამი სხვადასხვა სახელი აწერია, მაგრამ შიგნით სამივეში მიმა ზის და სათაგურში შემოტყუებულ „თაგუნებს“ პირდაპირ თავისი „ნაციონალური“ სტომაქისკენ მიაქანებს.
 ამ საწყალმა „თაგუნებმა“ რომ ჭკუა ვერა და ვერ ისწავლეს — წლებია, ერთი ნატეხი შაქრის გულისთვის სათაგურებში დაუფიქრებლად მიძვრებიან და მხოლოდ მას შემდეგ იწყებენ წრწუნს და წრიბინს, როცა მიხვდებიან, რომ აცთუნეს და შეაცდინეს, თუმცა როცა ხაფანგი მოგჭერს კბილებს, რამდენიც გინდა იწრწუნე და იწრიბინე, სათაგურის „ციხიდან“, თავს ვერ დააღწევ.
 ეჰ, „თაგუნებო“, „თაგუნებო“, რამდენჯერ უნდა მოგივიდეთ ერთი და იგივე იაღლიში და რამდენჯერ უნდა შეეწიროთ ფარისევლების მიერ ნალოღნ ერთი კენიბა შაქარს?



დამოუკიდებლობის ტრაგედია

ქართველი ოკუპანტები საქართველოს წინააღმდეგ

„საერთო გაზეთში“ რამდენიმე ხნის წინ გამოქვეყნდა წერილების ციკლი, სადაც საუბარი იყო იმის შესახებ, წლების მანძილზე თუ როგორ ანგრევდნენ და აჩანაგებდნენ საქართველოს, როდის დაიწყო ეს პროცესი და რა იყო ამის წინაპირობა. ჩვენი რესპონდენტი, პოლიციის ვიცე-პოლიკოვნიკი, პროფესიით ეკონომისტი **დავით ბაზნიძე**, რომელიც 80-იანი წლების დასაწყისიდან მუშაობდა სამართალდამცავ სტრუქტურაში, დეტალურად ვფიქრობდა ამ პროცესების შესახებ. გთავაზობთ ამონარიდებს ზემოხსენებული სტატიებიდან.



რესპონდენტის განცხადებით, თუ ყურადღებით არ იყავი დაკვირვებული მიმდინარე მოვლენებს და არ გაქვს სწორი ანალიზის უნარი, შეიძლება ირწმუნო ხსენებული ძალის წარმომადგენელთაგან გაკეთებული შეფასების „ჭეშმარიტება“, რაც მხოლოდ მათი პატრონების სიამოვნებას ემსახურება. 1991 წელს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, მაგრამ ეტყობა გვეგონა, რომ ჩვენი ხელი აღარ უნდა გაგვეხრია, დასავლეთი მოგვიტანდა მატერიალურ კეთილდღეობას, რეალობაში კი ასე არ ხდება. ჩვენ დამოუკიდებლობის ძახილისა და მისთვის ბრძოლის გარდა, წარმოადგენა არ გვქონდა შემდგომში რა უნდა გავკეთებინა ქვეყნის განსავითარებლად. შეიქმნა უამრავი პარტია, რომლებმაც გაუგებარი მიზეზების გამო, დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს ერთმანეთს, თუმცა საზოგადოება ხვდებოდა, რომ ეს „ბატალიები“ ხელისუფლების სათავეში მოსვლას ემსახურებო-

და. იმის მაგივრად, რომ ეკონომიკის აღორძინებაზე გვეზრუნა, გულისამაჩუყებელი სიტყვების რაზარით ერი გავაბრუნეთ და გავაშთხოვეთ. სანამ ჩვენ თავისუფლების მოსაპოვებლად ვიბრძოდით, კომუნისტური პარტია თავის ერთგულ „კაგებესთან“ ერთად დროს უქმად არ კარავდა და ყველა სამინისტროს თავისი ერთგული კადრებით აკომპლექტებდა, რაც საქართველოს უშიშროების სამსახურის თანამშრომლების ხელით ზორციელდებოდა, რომლებიც საკავშირო უშიშროების კომიტეტის გაუქმების შემდეგ, მსხვილი საწარმოებისა თუ კერძო ფირმების უშიშროების სამსახურებში გადაანაწილეს. კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა ხალხის კუთვნილი მთელი ქონება თავიანთ ერთგულ პერსონებს, მათ მიერვე „დანიშნულ“ „ბიზნესმენებს“ ჩაუგდო ხელში, მეთვალყურეებად კი „კაგებეს“ გამობრძმედილი კადრები დაუნიშნა, იგივე მოხდა საქართველოშიც. რომელსაც კრემლი ვერაფრით შეეღებოდა.

საქართველოს ხელისუფლებაში საკვანძო თანამდებობებზე დანიშნული, ეკონომიკური ბერკეტების მქონე ნადირალების მოვალეობას წარმოადგენდა, საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციების მოპოვება და ცენტრში გადაგზავნა; მოქმედი საწარმოების დანგრევა-გაპარტახებისთვის ხელის შეწყობა; კრიმინოგენური სიტუაციის ხელოვნური დაძაბვა; ეროვნული ხელისუფლების მიმართ ჭორების გავრცელება, რათა ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის შხარი გაეჩინათ; სამხედრო გადატრიალებისთვის ნიადაგის მომზადება. 1990 წელს კომუნისტებმა ფორმალურად დათმეს ხელისუფლება, ჩვენ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას კომუნისტურ პარტიასა და „კაგებესთან“ ვაწარმოებდით, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს ტანდემი ალიანსში იყო აშშ-თან. ევროპას ჩვენთვის არ ეცალა, რადგან თვითონ მას იპყრობდნენ და საბოლოოდ დაიპყრეს კიდევ მასონებმა და გლობალისტებმა, ლიბერალთა იდეოლოგიები სწორედ ისინი არიან. 1991 წლის

დეკემბრის მიწურულს სამხედრო ამბოხება რომ დაიწყო, საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა შორიდან უყურებდა ამ სისხლიან მოვლენებს, გვეგონა ეს დამანგრეველი პროცესები ჩვენ არ შეგვეხებოდა. სწორედ ამ პერიოდში იწყება საქართველოს ნგრევა-გაჩანაგება, რადგან უკვე აღარ გვყავდა მოსახლეობაზე ორიენტირებული ხელისუფლება, მთავრობაში ეღუარდ შევარდნა-



ძე შებრძანდა და ახალი ინტრიგების ზღართვა დაიწყო, რასაც ქვეყნის გაღარბება, მოსახლეობის უკიდურესი გაჭირვება უნდა გამოეწვია. ცნობისთვის, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას საქართველოს მოსახლეობისთვის არავითარი ვალი და ვალდებულება არ დაუტოვებია, არც ქვეყნის ეკონომიკა გაუპარტახებია, რასაც მაგანნი აბრალებენ. პირველ პრეზიდენტს მხოლოდ პოლიტიკური „ძალაუფლება“ გადაულოცეს, ეკონომიკურს ისევე კრემლი ფლობდა, ოდნოდ ფარულად, თუმცა ამ კუთხით პრეზიდენტმა გამსახურდიამ ერთი მცდარი ნაბიჯი მაინც გადადგა, ვგულისხმობთ რუსეთისთვის ეკონომიკური ბოიკოსის გამოცხადებას.

დამოუკიდებელ ქვეყანას უპირველეს ყოვლისა, თავისი ფულადი მაჩვენებელი უნდა ჰქონდეს, რა დამართეს ლარის წინამორბედ ეროვნულ კუპონს, ყველას კარ-

გად ახსოვს. ამ ყველაფრის მთავარი „შემოქმედი“ რომან გოცირიძე კი „მაღალპროფესიონალ“ ექსპერტობას იბრალებს და ქართული ტელევიზიებიც ჟოვილ-ხივილით დასდევენ „კვალიფიციური“ კომენტარის მისაღებად. თავიდან ვფიქრობდი, კოლეგებს მასობრივი ამხეზია ზომ არ დაემართათ-თქო, მაგრამ ბატონი გოცირიძე ნაცმოძრაობის სიის პირველ ათეულში რომ ვიხილე, მივხვდი ქარი საიდა-

ნაც უბერავდა. სწორედ შევარდნადის მმართველობის საწყის ეტაპზე დაიწყო ფარული პრივატიზაციის პროცესი, რომელსაც სრულიად სამართლიანად უწოდა ბატონმა ჯუმბერ პატიაშვილმა „პრივატიზაცია“. ეს პროცესი ნაციონალების მმართველობისას „წარმატებით“ გაგრძელდა და არ არის გამორიცხული დღესაც მიმდინარეობდეს. მართალია, ხალხს მოგვიანებით ე.წ. ვაუჩერები დაურიგეს, რომელიც სრული ფარსი იყო. ხალხს ანაბრები მოპარეს, რაც სწორედ საქართველოს სამანეთო ზონაში ყოფნამ გამოიწვია, შეიქმნა მრავალი კერძო ბანკი, რომლებსაც პირამიდები გაათამაშებინეს, რაც ასევე მოსახლეობის ხარჯზე მოხდა. მიზანმიმართულად დაიწყეს უზომოდ დიდი კრედიტების გაცემა, რათა ეროვნული კუპონის ჰიპერინფლაცია მოეხდინათ, ხელოვნურად შექმნეს აუტანელი მდგომარეობა, რითაც მოსახლეობის გარკვეული მთაზროვნე ნაწილი აიძულეს საქართველო დაეტოვებინა და უცხოეთში გადახვეწილიყო. საბჭოთა სპეცსამსახურები 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან იყვნენ მზად საბჭოთა კავშირის დასაშლელად, მათ უკვე გააჩნდათ სამოქმედო გეგმა, რომელიც მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეს მოიცავდა. ამ გეგმის დასაწყისი იყო ყველა ჯურის დამნაშავეს ციხიდან გამოშვება, რასაც პრივატიზაციამდე ფასების გათავისუფლება მოყვა, რამაც მანეთის ჰიპერინფლაცია გამოიწვია, საბოლოო ჯამში ეკონომიკური ქაოსი მივიღეთ. ბუნებრივია, ამდვრეულ წყალში ყველაზე უკეთ „კაგებე“ იჭერდა თევზს, რადგან უზარმაზარი ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე ერთადერთი კარგად შეკრული,

შედუღებული ორგანიზაცია იყო. მას ემორჩილებოდა ყველა და ყველაფერი, თუ ვინმე შეეწინააღმდეგებოდა, ის იმ დროს მოთარეშე კრიმინალების „შემთხვევითი“ ან „შეკვეთილი“ მსხვერპლი გახდებოდა. ჰიპერინფლაციურმა პროცესებმა ჩვენი მოსახლეობის დანაშოგი ნაცარტუტად აქცია, თუმცა ამ ფონზე გაჩნდნენ ე.წ. ახალი სახეები, რომლებიც უცებ საგრძობლად გამდიდრდნენ, რასაც

დავით გაგნიძე ეღუარდ შევარდნადის პირველი და ერთ-ერთი ყველაზე უშიშროი დანაშაულად აფასებს. **დავით ბაზნიძე:** „ქვეყანას და ბუნებრივია, მის პირველ პირს, რომელსაც დამოუკიდებლობაზე აქვს პრეტენზია, სასწრაფოდ უნდა შემოიღოს საკუთარი ვალუტა, ყოფილი იმპერიის მემკვიდრის რუბლზე კი არ უნდა აწარმოოს თავისი ქვეყნის ეკონომიკა. ეღუარდ შევარდნამ კი სამხედრო გადატრიალების შემდეგ, როცა თოფის ლულები გაციებულიც კი არ იყო, რომ პრივატიზაციის პროცესი წამოიწყო. მისმა რამდენიმე წლის განმავლობაში „ნაშემილებმა“ პარტიულმა ელიტამ „წითელ ინტელიგენციასთან“ ერთად, ცდუნებას ვედარ გაუძლო და ჩრდილოეთი პრივატიზაციის შედეგად „დათრეული“ ობიექტების სასწრაფოდ გაპარება დაიწყო. მართალია, შემდგომში „პრივატიზაციად“ მონათლული პროცესი 1992 წლიდან დაიწყო, მაგრამ 1991 წლის 9 აგვისტოს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი, რომლითაც განისაზღვრა ის ობიექტები, რომლებიც პრივატიზაციას არ ექვემდებარებოდნენ. თავიდან მცირე საწარმოების პრივატიზაცია ხდებოდა, რადგან ასეთი ობიექტების უმრავლესობა ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში იყო, ბუნებრივია, პრივატიზაციის პროცესი იქ უფრო აქტიურად მიმდინარეობდა, მაგრამ ფარული პრივატიზაცია აბსოლუტურად ყველა დარგის საწარმოსა თუ ობიექტს შეეხო. საპრივატიზაციო ბარათი („ვაუჩერი“) 1993 წელს საფრანგეთში დაიბეჭდა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან თავი-





დანვე იყო ჩადებული ამ ბარათის გაყვანისა და ფარსის მოწყობის გეგმა, რაც ეროვნული ბანკიდან მოდიოდა, უშუალოდ მისი პრეზიდენტი ხელმძღვანელობდა, რომელიც შემდგომ ძალიან სწრაფად აღზვედა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, იგი სულ მოკლე ხანში საქართველოში ერთ-ერთ შემდგომ პერსონად იქცა. ოპერატიული ინფორმაციების თანახმად, სულ 5,7 მილიონი ცალი „ვაუჩერი“ დაიბეჭდა და თითოეული მათგანი, სახელმწიფო კურსით 30 აშშ დოლარი ღირდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ თითქმის საქართველოს მაშინდელი სახელმწიფო ქონება დაახლოებით 171 მილიონ დოლარს შეადგენდა. ეს იმდენად სასაცილო ციფრია, რომ არცერთი ნორმალურად მოაზროვნე არ დაიჯერებს. პრესაში მცისიერად გაიქცა ინფორმაციამ, რომ არსებული „ვაუჩერები“ მილიონი ქონების მხოლოდ 30%-ს მოიცავდა, თუ ამ ვერსიას სარწმუნოდ მივიჩნევთ, გამოდის მთლიანი ქონება 570 მილიონი დოლარი ყოფილა, რაც ბევრმა ეკონომისტმა აბსურდად მიიჩნია. ისინი ვარაუდობდნენ, ან ქონების შეფასება იყო მიზერული, ან რეალური ციფრი დამალეს. იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანაში უკვე ჩატარებული იყო ფარული პრივატიზაცია, მე პირადად ორივე ვერსია სწორი მგონია. ამ „ვაუჩერების“ გამოშვება და დარიცხვა კიდევ ცალკე ფარსი იყო, მაღალ ემულანებში მოკალათებულმა „სახელმწიფო მოღვაწეებმა“, კვლავ წარმატებით „დააწერეს“ საქართველოს მოსახლეობას კუთვნილი ქონება. სხვათა შორის, მაშინ იმასაც ამბობდნენ, რომ მავანთ სოციალისტური წყობის რეანიმაცია სურთო. გამოშვებული „ვაუჩერების“ ნახევარი, სტანდარტს არ შეესაბამებოდა, კერძოდ, 2,85 მილიონ (2.850.000) „ვაუჩერს“ დამცავი მექანიზმი არ გააჩნდა და საღებავიც შედარებით მკრთალად ეტყობოდა, რაც იმდენად თვალში საცემი იყო, რომ ექსპერტისაც არ ჭირდებოდა. ოპერატიული ინფორმაციიდან ირკვეოდა, რომ ამ ყველაფერში გარკვეულმა ჯგუფმა ორმილიონახევარი დოლარი „გააკეთა“, რაც იმ პერიოდისთვის სერიოზული ფული იყო. მოგვიანებით ფულის „კეთება“ მოსახლეობის სიების გაყვანებითაც მოხდა, ძირითადად სახელებითა და მისამართებით მანიპულირებდნენ, ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი საქართველოს მოქალაქე დაეფიქსირებინათ, არადა მიგრაცია იმ პერიოდში უკვე ძალას იკრებდა და

გამორიცხულია საქართველოში 5,7 მილიონ მოქალაქეს ეცხოვრა. იმ პერიოდში არსებული ინფორმაციით, „ვაუჩერი“ დაახლოებით 3,4 მილიონმა საქართველოს მოქალაქემ მიიღო, დაახლოებით 300.000 ცალი „ვაუჩერი“ გაუცემელი დარჩა, ამ სტატისტიკით გამოდის, რომ დაახლოებით ორი მილიონი ცალი „ვაუჩერი“ მისაკუთრებული იქნა, რაც საბოლოო ჯამში 60 მილიონ დოლარს შეადგენდა. ეს ფული ძირითადად მისაკუთრეს „ვაუჩერების“ გამცემმა კომისიამ, სახელმწიფოებმა, რომლებიც შემდგომ ამ ფულს ხელისუფლების წარმომადგენლებს უნაწილებდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბაზარმა ვერ იგუა „ვაუჩერი“ და მისი ფასი 3-6 აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობდა. იმ პერიოდისთვის ეს მართლაც არანაშენი სახელმწიფო „აფიორა“ იყო, ვაიხელი-სუფალნი ისე გათავხედდნენ, რომ დამცავი მექანიზმიც კი შეიშაშავეს, სპეციალურად მიიღეს კანონი, რომ არავის შეემოწმებინა ის სამსახურები, რომლებიც „ვაუჩერებს“ არიგებდნენ, ამ ყველაფრის „გვირგვინი“ კი ის ე.წ. წესი გახლდათ, რომლის მიხედვითაც, რომ „ვაუჩერების“ გაცემის პროცესის დამთავრების შემდეგ, შესაბამისი დოკუმენტაცია უნდა გაენდგურებინათ. მერწმუნეთ, ამ უბადრუკი „ვაუჩერებითაც“ შეიძლება მრავალი სასიკეთო საქმის გაკეთება, მაგრამ შევარდნაძის „კლანმა“ არავის არაფერი დაუთმო.

არც გამქრალი ანაბრების თემა რთული გასაშიფრი, მხოლოდ უმაღლესი ხელისუფლების კეთილი ნების გამოვლინებაა საჭირო. 1993 წლის დასასრულში საქართველოში ხუთი მსხვილი სახელმწიფო კომერციული ბანკი მოქმედებდა - „საქინსოცბანკი“, „აგრობანკი“, „ექსიმბანკი“, „ინდუსტრიაბანკი“ და „ახალი ქართული ბანკი“ (იგივე „შემნახველი ბანკი“), რომლებიც ქვეყანაში არსებული საბანკო აქტივების დაახლოებით 80%-ს ფლობდნენ. ელუარდ შევარდნამეს ძალაუფლების გასამყარებლად, საბანკო რეკლუციაც სჭირდებოდა და ამ მიზნით 1994 წლის 13 იანვარს საბანკო „გადატრიალება“ მოაწყო, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მან ფინანსურ „მწვერვალზე“ მხოლოდ ერთი ადამიანი, მისი უახლოესი ნათესავი ვლადიმერ პატიშვილი დატოვა, რომელმაც უბრალოდ ადგილი შეიცვალა, „შემნახველი ბანკის“ ნაცვლად „საქინსოცბანკის“ ხელმძღვანელად დანიშნა. მოგვიანებით პატიშვილმა გეგმავა-სილაგაძესთან ერთად ძალზე

საეჭვო ფინანსებით „საქართველოს ბანკი“ დააარსა. სილაგაძე მეცნიერი, ცნობილი პიროვნება გახლდათ, რომელიც ასე ვთქვათ, ტვინი იყო ამ სამუელში, პატიშვილი ხელისუფლებას წარმოადგენდა, ხოლო არჩილ გეგენავა, შემდგომში ნაციონალურ ფრიად დაახლოებული და მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატი, იმ პერიოდში ბევრს არაფერს წარმოადგენდა. ჩემი ინფორმაციით, იგი „ვერის სამოსს“ წვერი იყო, ხოლო მისი ძმა ანდრო გეგენავა „შავი სამყაროს“ წარმომადგენელი. საიდან „მარაგდებოდა“ ეს „სამუელი“ ფინანსებით, დაზუსტებით ვერ გეტყვით. იმ პერიოდში ჯერ კიდევ სახელმწიფო მეთაურის სტატუსში მყოფი შევარდნაძე, ოფიციალური ვიზიტით თურქეთში გაემგზავრა, მას თან ახლდა ეროვნული ბანკის მაშინდელი პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი, პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია კივეში გაემგზავრა, ხოლო ვიცე-პრემიერმა ავთანდილ მარგიაშვილმა ჩემად გამართა სამთავრობო სხდომა, საიდან დაიწყო დადგენილების პროექტი და ბატონმა მარგიაშვილმა ახალი ბანკი დაიწყო, რომელმაც არც ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანხმობა ჰქონდათ და არც საბანკო სფეროში ხანგრძლივი მუშაობის გამოცდილება. ეს განსაკუთრებით ვანო ჩხარ-

ტიშვილსა და ანდრო დევედარიანს ეხებოდათ. სამაგიეროდ, ხუთივეს კომკავშირულ-პარტიული გამოცდილება და რაც მთავარია შევარდნაძისადმი ერთგულების მაღალი ხარისხი აერთიანებდათ. ანდრო დევედარიანის ბანკთან ურთიერთობა მხოლოდ იმით შემოიფარგლებოდა, რომ დემურ დევედარიანის პრეზიდენტობის დროს, ეროვნული ბანკიდან უამრავი კრედიტი ჰქონდა გატანილი. დევედარიანი განმარტებით, მას ამ ფულით საქართველოში შაქარი და კარაქი შემოჰქონდა, თუმცა მავანთა მტკიცებით, ეს კიდევ გასარკვევი იყო.

სახელმწიფო ობიექტების პრივატიზაციის დაწყებისთანავე ნათლად გამოჩნდა, რომ ამ ობიექტების დიდ ნაწილს მათი ხელმძღვანელები შეისყიდნენ. ბუნებრივია, ეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ელუარდ შევარდნაძესაც, რომელმაც ახალი ბანკი დაიწყო და განსაზღვრა ვინ დარჩებოდა მოგებული ბანკების პრივატიზაციით. ხუთი თვის შემდეგ, „ექსიმბანკის“ მმართველად ამირან ხეცუარიანის ნაცვლად, სახელმწიფოს მეთაურის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში ზაზა სიორიძე დანიშნეს. შევარდნაძეს სიორიძისა და დევედარიანის კანდიდატურები თბილისის სახელმწიფო უნივერსი-

ზონაში შედიოდა, ამიტომაც დავალიშვილს ფულის ემისიის უფლება არ ჰქონდა. ეს ყველაფერი ჩვენი სურვილის მიუხედავად რუსეთის ხელისუფლებასზე დამოკიდებულს გეხდოდა.

1993 წლის 3 აპრილიდან ეროვნული კუპონი შევიდა ბრუნვაში, რომელსაც სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის შემოღებამდე, მთელი დატვირთვა დააწვა. ქვეყანაში არსებულ ისედაც მიმეკონომიკურ მდგომარეობას, გაუმართლებელი ფულად-საკრედიტო ვითარებაც დაერთო, რამაც კუპონის კატასტროფული დეველაცია გამოიწვია. სხვათა შორის, კუპონიც საფრანგეთში დაიბეჭდა, თვითმფრინავი, რომელმაც კუპონების პარტია ჩამოიტანა საფრანგეთიდან გამთენიისას ჩამოფრინდა, სადაც 2-3 საათში კი უკვე იყიდებოდა ეს ფული მეტროებთან, ორი აზრი არ არსებობს, რომ ის ბანკებიდან მოხვდა ე.წ. შავ ბაზარზე. კუპონის დეველაციის პროცესს ეროვნული ბანკი ვინ ვერ ალუღებოდა, რადგან სავალუტო მარაგი არ გააჩნდა. 1992 წლის აგვისტოში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც, თუ ვთქვათ, ბანკში შეტანილი გქონდათ 10.000 რუბლი, 15.000 რუბლი გახდებოდა, მალე მეორე ე.წ. ინდექსაციის კანონიც მიიღეს, ყოველი



საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდისთვის ქართველი მეანბრების თანხა ისევე 13 მილიარდი რუბლი იყო, მაგრამ ხელოვნურად გამოწვეული ჰიპერინფლაციის შედეგად ისინი უცებ გაკოტრდნენ და ფაქტობრივად, ბედის ანაბარა დარჩნენ. ამას მასობრივი საკრედიტო ემისიაც დაერთო, რომელიც ბოლო თვეებში საერთოდ გამოვიდა კონტროლიდან. მაგალითად, მარტო 1992 წლის დეკემბერში საქართველოს საწარმოებისთვის ახალი კრედიტის სახით გაცემულმა თანხამ 30-40 მილიარდ რუბლს მიაღწია, ეს მაშინ, როცა იმავე წლის ნოემბრის დამლევს დაუფარავი კრედიტების თანხამ 100 მილიარდ რუბლზე მეტი შეადგინა. საწარმოთა ხელმძღვანელობას გამოჰქონდა კრედიტები და მაშინვე მყარ ვალუტას ყიდულობდნენ, არავის აინტერესებდა რაიმე ეკონომიკური საქმიანობის წამოწყება, როგორც ამბობენ ამ კრედიტების მხოლოდ 7-8% თუ წავიდა დანიშნულებისამებრ. 1994 წელს ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა დემურ დევედარიანმა შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში თავი მოიკლა. იგი ხსენებულ თანამდებობას 1992 წლის ნოემბრიდან 1993 წლის ოქტომბრამდე იკავებდა. 1993 წლის 1 აპრილამდე საქართველო რუბლის

შეტანილი რუბლი ორმაგდებოდა, ხალხს სწორედ ამიტომ შეჰქონდა მასობრივად ბანკებში ფული, რაც შემდგომ ისევე ინფლაციამ შეჭამა. იმდროინდელი კურსით საქართველოს მოსახლეობას რვა მილიარდი აშშ დოლარი ჰქონდა შეტანილი, ბოლო ინფორმაციით 1,6 მილიონი დოლარად დარჩა, თუმცა ეს ფულიც შევარდნაძის „კომკავშირელებმა“ მიითვისეს. ხალხს „კავკასიის ბირჟაზე“ ტომრებით მიჰქონდა კუპონები და რუსულ რუბლზე ცვლიდა, ბუნებრივია, ამ ყველაფრიდან გამომდინარე ბანკები ფულში „იზრჩობოდნენ“, საქართველოს მოსახლეობა კი „იმედინად“ შეჰყურებდა მომავალს. მხოლოდ ერთ დღეს ქართულმა „გამა-ბანკმა“ ათი მილიარდი რუბლი გააკეთა. ესეც არანაშენი „აფიორა“ იყო. „კავკასიის ბირჟის“ პრეზიდენტი ამირან ქადაგიშვილი და მისი ვაჟი არჩილ ქადაგიშვილი საქართველოს უშიშროების სამინისტრომ 2004 წლის 19 ივლისს დააკავა, თუმცა არავინ იცის რატომ დააკავეს ან რა შედეგი მოყვა მათ დაკავებას. ეს იყო გასაიდუმლოებული ოპერაცია ასევე საიდუმლო შედეგით.

მანანა სუსნიშვილი
599 51 28 24
(გაბრძენილია იმდენად)



გვესაუბრება მოძრაობა „ივერიელების“ ხელმძღვანელი ლევან კოჭლავაძე.

– ლევან, გასულ კვირას კახეთის მოსახლეობამ დიდი ზარალი განიცადა – სეტყვამ განადგურა ვენახები. თავდაცვის მინისტრი ხელს სხვისკენ იშვერს... რა ხდება სინაღლიში? – სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების კონსტრუირება თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ ხდებოდა. რაც თავდაცვის მინისტრად **თინა ხიდაშელი** დაინიშნა, „დელტას“ შეუმცირდა თანხები, ვერ შეიძინეს სეტყვის საწინააღმდეგო ჭურვები. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თავდაცვის სამინისტროსა და „დელტას“ შორის მიმდინარეობდა მიმოწერა და კომუნიკაცია თანხების გამოყოფასთან დაკავშირებით, მაგრამ ქალბატონი მინისტრი წინააღმდეგი იყო ერთი მარტივი მიზეზის გამო – ადამიანი, რომელიც „დელტას“ ხელმძღვანელი იყო, უნაძობა იყო, ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გახლდათ დანიშნული. მის სახელს უკავშირდება სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის დანერგვა საქართველოში, სწორედ მას გაუსწორდა თინა ხიდაშელი.

საბოტაჟი

ეს არის პირადი შურისძიება **ირაკლი ღარიბაშვილზე** და მის მიერ დანიშნულ კადრზე. ამას გარდა, საქმე გვაქვს სახელმწიფო საბოტაჟთან და ამ საბოტაჟს ახორციელებს ქალბატონი ხიდაშელი.

წარმოდგინეთ, კახელი გლეხის მთავარი შემოსავალი ნადგურდება და მიზეზს გვებულობ, რომ, თურმე, მთავრობამ ფული არ გამოყო და ამბობენ, რომ პრემიები გაიცა. რამდენიმე ათეულ ათასზეა საუბარი, რომელიც, თურმე არ გამოყო ხელისუფლებამ. არადა, ასე არ არის. ეს იყო ქალბატონი მინისტრის „თამაში“. მან წინასწარჩვენოდ, მიზანმიმართულად, ვიწრო პიროვნული ინტერესების მიხედვით იმოქმედა და ძირი გამოუთხარა „ქართულ ოცნებას“.

თინა ხიდაშელი ღალატობს „ქართულ ოცნებას“. ამის თქმის საფუძველს მამლევს ის, რომ სეტყვის შემდეგ, რაც განადგურდა მოსავალი, ნაციონალებმა გააქტიურება დაიწყეს კახეთის რეგიონში. სამი ბრიფინგი და ერთი აქცია გამართეს, რისთვისაც, „ნაციონალებს“, რუსულ ტერმინს გამოვიყენებ, „პადაჩა“ ჩააწოდა თინა ხიდაშელმა. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ თინა ხიდაშელი კოორდინირებულად მოქმედებს „ნაციონალობასთან“.

„დელტას“ რამდენადაც ვიცო, შეუძლია ჭურვის წარმოება, თუმცა, ჯერჯერობით, შხა ჭურვი გერმანიიდან შემოაქვს და ერთი ჭურვი 300 ევრო ღირს.

ცხადია, ადგილზე წარმოებული ჭურვი უფრო იაფი

დაჯდება, მაგრამ „დელტასთვის“ თანხა ვერ გაიმეტა ქალბატონმა ხიდაშელმა და მივიღეთ ის, რომ გუშინ კახეთი დაისეტყვა, დღეს დუშეთი, ხვალ იმერეთი დაისეტყვება და ა.შ. ეს ხელს აძლევს, როგორც ჩანს, თავდაცვის მინისტრს, ეს აწყობს „ნაციონალობასაც“ და ვართ ასე.

ერთ პატარა მაგალითს მოვიყვან, რაც გააკეთა ხიდაშელმა თელავში.

ე. წ. „ლეგიონის დასახლებაში“ გააგზავნა სამხედრო პოლიცია. ლეგიონში ცხოვრობენ სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობებია იქ. ერთი სიტყვით, მინისტრმა ქალბატონმა გადაწყვიტა „ლეგიონის“ მაცხოვრებლების გამოსახლება. იქვე განდნენ „ნაციონალობის“ წარმომადგენლები, „ნაციონალობის“ კახეთის მთავარი კოორდინატორი გიორგი ბოტკოველი, დაიწყო აქციები...

კიდევ ერთხელ ვიტყვი: თინა ხიდაშელი მუშაობს „ნაციონალობის“ გასაძლიერებლად.

– ლევან, თინა ხიდაშელს აქვს მაღალი თანამდებობა. რატომ სურს, ვთქვათ, იმ ხელისუფლების დისკრედიტაცია, რომელი ხელისუფლების მინისტრიც არის თვითონ?

– მგონი, რაღაცები გავიწყდებათ და გაიხსენეთ. მისმა მეუღლემ, პარლამენტის თავმჯდომარემ **დავით უსუფაშვილმა** თქვა: ჩვენი ვალია, გადავარჩინოთ „ნაციონალური მოძრაობა“, თვითონ ქალბატონმა ხიდაშელმაც ადრე განაცხადა: ნაციონალებთან

კოჰაბიტაცია ხალხმა დაგვაგალო, რაც აშკარა ტყუილი და დემაგოგიაა, კიდევ ბევრი არგუმენტის მოტანა შეიძლება, ყველაფერი კი ემსახურება იმას, რომ შეიქმნას ერთი დიდი ძალა, „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ და მოიშორონ, საბოლოოდ, „ოცნება“.

ანალოგიები გაიხსენეთ, მაგალითად, 2003 წელს. შევარდნაძის გადასაგდებად ნათელაშვილიც კი შეუერთდა ბურჯანაძე-ყვანია-საკაშვილს. 2007 წლის დარბევა და გიორგი გაჩეჩილაძის ირგვლივ გაერთიანება სააკაშვილის წინააღმდეგ. სხვათა შორის, რესპუბლიკელებმა მაშინაც „ნაციონალობის“ წისკვილზე დაასხეს წყალი, 2012 წელს კვლავ ყველა გაერთიანდა ერთის წინააღმდეგ. თუმცა განსხვავება ისაა, რომ მართალია და ვერ ხერხდება დღევანდელი მთავრობის წინააღმდეგ მსხვილი პოლიტიკური გაერთიანების შექმნა, მაგრამ ჯერ არჩევნებამდე კიდევ არის დრო და ვინ იცის, რა მოხდება.

არასახარბიელო თამაშები მიდის და ამ საქმეებში აქტიურად არის ჩართული თავდაცვის მინისტრი. ქალბატონი, რომელიც საკუთარ ჯარისკაცებთან დაცვით მიდის. ეს არის ჯარისკაცის შეურაცხყოფა.

აქვე დავძენ, რომ ძალიან შეშინებული არიან **ირაკლი ღარიბაშვილის** ფიგურით. არ გადის კვირა, ნაციონალების ტელევიზიებში არ მოხდეს ირაკლი ალასანიას წინ წამოწევა და ღარიბაშვილის სახელს დისკრედიტაცია. მიუხედავად ამისა, ღარიბაშვილი სულ ამბობს, რომ არ ბრუნდება პოლიტიკაში, მაინც მის სახელს ეწინააღმდეგებიან. ღარიბაშვილი ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებას აპირებდა ქვეყანაში, ამიტომაც ლიბერალებს მტრად მიაჩნიათ ღარიბაშვილი.

რაც ამ სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარებზე გააკეთა ხიდაშელმა, ესეც ღარიბაშვილის წინააღმდეგ მიმართული სვლა იყო. მართალია, მას ამოძრავებდა პირადი ბოღმა ღარიბაშვილის მიმართ, მაგრამ ვეღარ მოითმინა და მისი გაკეთებული საქმეების გაფუჭება დაიწყო.

– ბოლმას ფარულ ჩანაწერს უკავშირებთ?

– დიახ, როგორც ჩანს, ოთხი წლის წინათ გვაფრთხილებდა ირაკლი ღარიბაშვილი და გვეუბნებოდა, რას წარმოადგენდა თინა ხიდაშელი. მის შეფასებას სრულად ვეთანხმები, მაგრამ, მოდით, მივეყვით მოვლენებს, იმედია, იმაზე უარესი არაფერი მოხდება, რაც გადავიტანეთ 9 წლის განმავლობაში მიშა ოდესელის მმართველობისას.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

უცხო ქვეყნის მოქალაქის, მიხეილ სააკაშვილის, ქმედებები ეს არის საქართველოს სუვერენიტეტის უხეში შელახვა!

2016 წლის 22 მაისს საქართველოში გაიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების - საკრებულოთა გამოკლებული 9 დეპუტატის არჩევნები. მისი დასრულებისთანავე ერთ-ერთმა არჩეულმა დეპუტატმა უკრაინის ოდესის ოლქის გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილისგან პირდაპირ ეთერში დირექტივები და ინსტრუქტაჟი მიიღო. ეს ყველაფერი ისეთი პომპეზურობით გაშუქდა, თითქოს დიდად სასახელო რამ ხდებოდა, არადა



სახეზე იყო საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფა, რადგან უცხო სახელმწიფოს მაღალი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი დამოუკიდებელ სხვა სახელმწიფოში პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა.

მიხეილ სააკაშვილისთვის არაფერს ნიშნავს საქართველოს კანონები, რადგან იგი საკუთარ ვოლუნტარიზმს, აწარმოოს პოლიტიკური საქმიანობა სხვა დამოუკიდებელ სახელმწიფოში, საქართველოს სუვერენიტეტზე მალა აყენებს. სხვა სახელმწიფოს მაღალი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ ავანტურებში საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან უპასუხოდ არ უნდა დარჩეს. სუვერენიტეტის დაცვა სახელმწიფოს მოვალეობაა და მას ამის განსახორციელებლად სათანადო ბერკეტიც გააჩნია (საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლი).

დავით არაბიძე



ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი თანამოქალაქებს



ახლანან ჩატარდა „ქართული ოცნების“ ყრილობა, რომელმაც ახალი თავმჯდომარე აირჩია და პარტიის შემდგომი გეგმები გამოაცხადა. ამით დასრულდა ერთი ეტაპი, რომელიც 2011 წლის ოქტომბერში დაიწყო და ახალი საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადებას შეეუდებოდა.

როგორ ვაპირებ საარჩევნო პროცესში ჩართვას და პირადად რა მონაწილეობას მივიღებ, ამაზე წერილის ბოლოს ვისაუბრებ, ახლა კი მოკლედ შევაჯამებ და შევაფასებ გასულ ოთხწელიწადს – რა გზა გამოვიარეთ, სად ვართ და საით მივდივართ.

მინდა, მოსახლეობას ანგარიში ჩავაბარო, ვინაიდან 2011 წელს სწორედ საქართველოს მოსახლეობის წინაშე ავიღე პასუხისმგებლობა და, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო თანამდებობაზე არ ვარ, ამ პასუხისმგებლობას დღემდე ვგრძნობ.

ორიოდე თვის წინ უკრაინის პოლიტიკის თანამშრომლებმა ქრთამის აღების ბრალდებით ოდესის ოლქის პროკურატურის თანამშრომელი ალექსანდრე მოდებაძე დააკავეს, მიზომ მასინ „გაქაჩა“ და დაკავებულ-გათავისუფლებული „თავისიანი“ მოდებაძე სამუშაოდ ოდესის ოლქის ყოფილმა პროკურორმა დავით საყვარელიძემ მიიღო. უკრაინის გენერალური პროკურატურის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილე დავით საყვარელიძე თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ დავით საყვარელიძის გადაყენება მის მიერ საპროკურორო ეთიკის უხემ დარღვევასა და სხვა პროკურორის საქმიანობაში ჩარევას უკავშირდება. მიმდინარე წლის 26 მაისს უკრაინის პროკურატურამ მიხედა სააკაშვილის მიერ დაარსებულ „უკრაინის განვითარების“ ფონდში ჩხრეკა ჩატარა და სააკაშვილის გუნდის ერთ-ერთი წევრს, უკრაინაში საქართველოს ყოფილ კონსულს თემურ ნიშნიანიძეს ფინანსურ მაქინაციებში მონაწილეობისათვის ბრალი წაუყენა. ჩხრეკის შედეგად პროკურატურის თანამშრომლებმა ნიშნიანიძის სახლიდან და „ოდესის განვითარების“ ფონდიდან უკრაინო ფინანსური ოპერაციების დამადასტურებელი დოკუმენტები და 20 მილიონი გრივნა ამოიღეს.

აღნიშნულ ფაქტს სააკაშვილმა პოლიტიკური დაკვეთა უწოდა. უკრაინის მთავრი პროკურორის იური ლიცენკოს განცხადებით, ფონდის საქმიანობის შესწავლა უკრაინის რადას დეპუტატების მოთხოვნის საფუძველზე ჩატარდა. უკრაინელები გამოფხიზლდ-

ნენ, მითი კორუფციასთან ცეცხლით და მახვილით მებრძოლ მიზანზე დაიმსხვრა. სააკაშვილის კორუფციული მაქინაციები გაიშინა. ბიზნესმენების შანტაჟისა და რეკეტის, ოდესის და ილიჩოვსკის პორტების მითვისების, ოდესის საბაჟოს პირადი ინტერესებისათვის გამოყენების, იარაღით ვაჭრობისა და სანდრას აწყობილი ადამიანის ორგანიზებით ვაჭრობის შავი ბიზნესის შესახებ ინფორმაციებს უკვე აქტიურად აშუქებს უკრაინული მედია. მიმდინარე წლის 28 მაისს „თოქსოუში“ მიწვეულმა უკრაინის სახალხო დეპუტატმა ვადიმ რაბინოვიჩმა მიზომ მიწასთან გაასწორა და აღნიშნა, რომ უკრაინის ტრავედიამ ოდესის გუბერნატორის დანაშაულებრივი პარკაში. არც საქართველოში მისი დაკვეთით ჩადენილი დანაშაულებები დავეიწყება და არც მიხეილის „მაპროვიცირებელი“ კოკაინის მოხმარება. მისი ნარკოტიკებთან „ტრაფიკის“ შესახებ, როგორც ჩანს, ფართო საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი. დეპუტატი აშკარად გაღიზიანებული ჩანდა მიხეილის რეაქციით, რაც მისი თანამოაზრის, ნიშნიანიძის დაკავებით იყო გამოწვეული. სააკაშვილს სიმწრისგან მართლაც გადმოსდიოდა დუჟი, ისე ლანძღავდა სამართალდამცველებს. ვადიმ რაბინოვიჩმა სააკაშვილს და მის გუნდს საშობლოში დაბრუნება და სამართალდამცველების „გარდაქმნით“ დაინტერესება იქ ურჩია. იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის პასხისმგებლობას გადაურჩებოდნენ... ფურნალისტმა და პროდიუსერმა ალექსანდრე დუბინსკიმ სააკაშვილის ცხოვრების წესი, ქალების და რესტორნების სიყვარული სახელმწიფოს და რეკეტის ხარჯზე, ჯერ კიდევ შარშან ამხილა „უკრაინულ სენსაციებში“ „+1“-ში. რამდენიმე დღის წინ

კი „+1“ „უკრაინული სენსაციებში“ მიხეილი ბევრად ვრცელი გადაცემის გმირად მოგვევლინა. გადაცემაში ვრცლად ისაუბრეს სააკაშვილის „სამირო საქმეებზე“ როგორც საქართველოში, ასევე უკრაინაში. ოდესის გუბერნატორის „მოღვაწეობის“ ერთწლიანი ანგარიში ასე შეაფასეს: ოდეს-არენის გაპარტახებულ საავტომობილო გზაზე ასფალტის ნაცვლად დაპირებებს აგებს. ოდესელები არცთუ გვიან მიხვდნენ, რომ სააკაშვილი ხალხზე ზრუნვის ნაცვლად ერთგულ ზროვანს და თავის გართობაზე ზრუნავს. მისი საფიქრალი ბიზმესმენების და ქვეყნის მარცვას ვერ ცდება. საკუთარი თვითმფრინავით ფრენა გარკვეულ ხარჯებს მოითხოვს. მის პარამხანაში კი არცთუ ცოტა მდებრია და მათი შენახვაც ხალხის „ყველფის“ ხარჯზე ხდება. მეგობრები, რესტორნები, გართობა მისი ცხოვრების უცვლელი სტილია. ექვსი თვის წინ მისი ბრძანებით დაკავებული გენადი კორბანის შესახებ ბენდიერი სახით ტელეკამერების წინ კეკლუცობდა, ტრამბოზობდა, თუ როგორ

გამოუცხადა ომი კორუფციას. როდესაც რამდენიმე დღის წინ მისი თანამშემწე კორუფციაში ამხილეს, გამწარებული ცდილობდა მის დაცვას და სამართალდამცველებს შეურაცხოვაც მიაყენა. არადა, რადის ტრიბუნადან დაუფარავად ამხილეს ფონდის კორუფციული სქემა. ფონდი, რომელსაც მისი თანამშემწე თემურ ნიშნიანიძე ხელმძღვანელობდა და შეებნელი საქმეებით აესებად მიშას ყულაბას. გადაცემაში ვრცლად საუბარი, რას შეპირდა და რა გაუკეთა ოდესის მოსახლეობას. ფურნალისტის კითხვა, თუ როგორ მოახერხა ხუთიათასი გრივით (რომელიც მის ხელფასს შეადგენს) კიევის ცენტრში, 1917 წელს აშენებულ სახლში, ხუთიათასიანი, 250 კვადრატული მეტრი ბინის შექმნა, ექსკლიუზიური რემონტით და ძვირფასი ავეჯით, პასუხა-უცემელი დარჩა. სამაგიეროდ, გაირკვა სააკაშვილის კიევის ბინის ფასი, რომელიც მილიონ დოლარს აღემატება! ტელეწამყვანი გაოცებულია, რომ მიშამ კიევი საცხოვრებელი სახლის შესაძენად თანხა მოიძია, ხოლო დაპირებული გზის დასაგებად ვერა, ამიტომაც 100 კილომეტრის ნაცვლად ასფალტი მხოლოდ ერთ კილომეტრზე დააგო. დაპირებულ დარჩა სანაპიროების რეკონსტრუქციაც. მიშას ფული რეკლამებში არც ოდესაში ენახება. რეკლამებში და პიარში, რომელშიც სააკაშვილი სამყაროს ლიდერად და მესიად წარმოჩინდება! უკრაინელები გაკვირვებას ვერ მალავენ, თუ რატომ მოიხსენიებენ მიშას ამერიკელები რეფორმატორად. მათთვის ცნობილია, რომ დასავლეთის საუკეთესო პოლიტიკონოლოგებმა არაფრისგან შექმნეს იგი და ლიდერის და მესიის სული შთაბერეს. (ის დროა, მათ „გამზრდელი“ ვუთარგმნოთ..) აშშ-ის არასამთავრობო ორგანიზაციები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, მიშა მსოფლიო რეველუციების „ხელიდერის“ იმიჯით ეხილათ... თუმცა ამათა მათი მოლოდინი!

„+1“-ში საუბარია, კორუფციასთან მებრძოლ მიხოს ჯერ კიდევ საქართველოში როგორ აფინანსებდნენ დონორი ორგანიზაციები. დაახლოებით 8 მილიონი მათგან მიუღია და ამდენივე თანხა ხალხის და სახელმწიფოს მარცვის შედეგად. თავის „ბანდასთან“ ერთად ახლა სხვა სახელმწიფოს განადგურებას განაგრძობს. სანაპირო ზოლის გასხვისების მოწინააღმდეგე და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დამცველი მიხომხოლოდ მოწინააღმდეგეებისთვის „იხსენებს“ კანონს და კონსტიტუციას, ხოლო „გადამხდელუნარიან“ ბიზმესმენებზე დაუბრკოლებლად ასხვისებს მიწებს კორპუსების ასაშენებლად (ნაცნობი სიტუაცია). რამდენიმე თვის წინ ქალაქის ცენტრში მის მიერ უკანონოდ გასხვისებულ მიწაზე აშენებულ კორპუსში სამი ბინა მოუთხოვი, და მიუღია კიდევ. ერთი თავისთვის, თითოც საყვარელიძისა და მოადგილისთვის. ბინებში ექსკლიუზივ-რემონტები მიმდინარეობს და ბინის ფასი ისევ მილიონს აღემატება! აღნიშნულის შესახებ დოკუმენტების თანხლებით გადაცემაში რადის დეპუტატი საუბრობს... ოდესის ნომერი პირველი მილიციელი ლორთქიფანიძე კი საქართველოში მიღებულ დიდ გამოცდილებას აქტიურად იყენებს „ურჩი“ ბიზმესმენების დასაწიოკებად და მიშას „ბეღელის“ შესავსებად. გადაცემაში რამდენიმე დატერორებული, დაპატიმრებული თუ „გატყავებული“ დაზარალებულის სახელი და ისტორიაა მაგალითად მოყვანილი... მიშას და მისი ზროვის შეუბნელი, დანაშაულებრივი საქმიანობის არაერთი ეპიზოდი გადაცემაში განხილული. მინტერესებს, ზემოთ აღნიშნულის შესახებ არც აშშ და არც ევროპა აღმფოთებულა, თუ „მოგუდულში“ შემფოთდნენ და მე ვერ გავიგე?!

ქმთმვან ზარნაძე
599 52 60 30





ვლდიმერ თოლორანია



ლაშა ზოზანია

ტის ვარაუდებულ ლაშხიას ძმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს „ტრანსპორტის“ თანამშრომელია. ეს ადამიანი მისულა შპს „ტრანსპორტის“ ხელმძღვანელთან ირაკლი როგორცაა და უთქვამს: ხომ იცით, ჩვენ „ქართული ოცნების“ მომხრეები ვართ. ჩემს ძმას ვარაუდებულ ლაშხიას ავადმყოფი შვილი ჰყავს, სამსახური არ აქვს, შიმშილით იხოვებიან, 300-ლარიანი სამსახურიც რომ ჰქონდეს, ზურგს შეაქცევს ნაციონალებს და არც კენჭს იყრის მათი სა-

წერი, 2012 წელს გადაღებული, „ოცნების“ ადგილობრივ ლიდერებზე, რომლებიც ამის გასაჯაროების შიშით ყველაფერზე მიდიანო.

— რა კადრებია, რას მოწმობს ეს ჩანაწერი?

— ამ ვიდეოში ჩანს, როგორ მიდის საუბრები მანო მარაბიშვილთან და სხვა ბობოლა ნაციონალებთან, რა გარიგებებზეა ლაპარაკი, როგორ უნდა მოხდეს არჩევნების გაყალბება და ა. შ. სწორედ ამის გასაჯაროების შიშით ჩააბარეს კორცხელი და

და უნდა ვითხრათ, არ არსებობს პრეცედენტი პირველიდან ხუთ საათამდე იყოს ამომრჩევლის 80%-იანი აქტივობა. სწორედ ამ საათებში მოაწვდა ხალხი საარჩევნო უბანს.

ის ხალხი, ვინც საერთოდ არ აპირებდა არჩევნებზე მისვლას, მოაწვდა უბანს. შური იძიეს იმაზე, რომ არ აპატიეს ჩამოსულ ადამიანებს ცემა და ჩხუბი. ხალხი ამბობდა: თუ გინდათ გაუსწორდეთ ბოკერიას და მელიას, გაუსწორდით თბილისში. რატომ აკეთებთ ამას კორცხელში? ამას გარდა, ჩხუბში ჩაერთა ადგილობრივი მოსახლეობა, ვერ გაარკვევდით, ვინ ვის ურტყამდა. ეს იყო შურისძიება, სხვა შემთხვევაში, „ნაცმოძრაობას“ ხმას არ მისცემდა მეგრული კაცი.

ხალხი იმაზეც გამწარდა, იქ რუსულან შამანია რომ დაინახეს, ყოფილი სუსის უფროსი,

„თუ კვლავ იმ ადამიანებს მიანდის ყველაფერი, როგორც ორჯამ თაყაშ თაყაშოვანი, „ქართული ოცნება“ სამეგრელოში არჩევნებს ნაბეჭს“

ბასულ კვირას ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში შუალედურ არჩევნებში ნაციონალური კანდიდატმა ბაიბარაჯა. რა ბახდა კორცხელის არჩევნების დამარცხების მიზეზი? ამის შესახებ სამეგრელოდან საარჩევნო შტაბთან დაახლოებული პირი ბაიბარაჯა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა და განსაზღვრა მიზეზების ბაიბარაჯა მარაბიშვილი ჩრდილო დარჩენა ავსტრიაში.

— რა მოხდა, რატომ დამარცხდა „ოცნების“ კანდიდატი არჩევნებში?

— პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ წამოყენებული იყო მოსახლეობისთვის აბსოლუტურად მიუღებელი კანდიდატი. ამირან ლაშხიას იყო და დღესაც არის „ნაცმოძრაობის“ წევრი. ეს არის ნაძირალი კაცი. ყოველთვის ნაციონალებს ედგა გვერდით. იგი სააკაშვილმა ღირსების ორდენითაც დააჯილდოვა.

— რა გააკეთა ისეთი, ორდენით რომ დააჯილდოვეს?

— იყო ვითომ გამორჩეული მეურნე. სინამდვილეში, არაფრით გამორჩეული არ ყოფილა. რითი უნდა ყოფილიყო გამორჩეული — ერთი ბრიყვი და სულელი კაცია.

საკაშვილს და მის გუნდს სჭირდებოდა ისეთი გასერილი ადამიანი, როგორც არის ამირან ლაშხიას. ის თავიდანვე გახლდათ ახალაიას გუნდის წევრი.

— ვინ წარადგინა ამირან ლაშხიას „ოცნების“ კანდიდატად?

— რამდენადაც ვიცი, „ქართული ოცნების“ ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ვლდიმერ თოლორანია და საარჩევნო შტაბის უფროსმა ლაშა ზოზანიამ წარადგინეს. უთქვამთ კიდევ, თბილისთან შეთანხმებულია ყველაფერი, გამოკითხვა ჩატარდა და გამოკითხვებში მისი კანდიდატურა ლიდერობს. მოატყუეს ყველა და ყველაზე დიდი სიბინძურე გააკეთეს ამ კანდიდატის შერჩევის დროს.

წინასწარჩევნებში და არც შემდეგ არ გაიკარეს ის ხალხი, რომლებმაც 2012-ში გამარჯვება მოაპოვებინა „ქართულ ოცნებას“.

საარჩევნო შტაბის უწინდელი ხელმძღვანელი რიგით კოორდინატორად დანიშნეს და მიიყვანეს ისეთი ხალხი, კაციშვილმა რომ არ იცის, ვინ არიან.

ყოველივე ამის მოთავე თბილისიდან იყო დიტო სამხარაძე, საქმეს ადგილზე კურიერებდნენ ვლდიმერ თოლორანია და ლაშა ზოზანია.

პირდაპირ ვიტყვი, კორცხელის არჩევნებით „ნაცმოძრაობამ“ და მისმა მხარდამჭერებმა ჩაატარეს 2016 წლის ოქტომბრის არჩევნების გენერალური რეპეტიცია.

— გასაგებია, მაგრამ როცა ცნობილი გახდა, ლაშხიას „ნაცმოძრაობის“ წევრი რომ იყო, მერე რატომ აღარ მოხდა რეაგირება?

— როგორც ვითხრით, თოლორანიამ და გოგამ თქვეს — ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია, ხელისუფლებასთან უკვე შევეჯერდით. ჩვენ არავინ არაფერს გვეკითხებოდა, ამბობდნენ, რომ საქმის კურსში იყო პანკი პალაძე.

— ამირან ლაშხიას ახლა „ქართული ოცნების“ წევრად ასაღებს თავს?

— ლაშხიას არასდროს უთქვამს, რომ „ქართული ოცნების“ წევრი იყო. უბრალოდ, დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჩვენ ვერაფერში ჩავერთეთ, არადა, გამოცდილება გვქონდა, ვიცით, საარჩევნო პროცესში რა როგორ არის საჭირო და აუცილებელი. პირდაპირ იგნორირება გაგვიკეთეს. ეს იყო მიზანმიმართული ქმედება — „ქართულ ოცნებას“ კორცხელში არჩევნები უნდა წაეგო.

წარმოდგინეთ, „ქართული ოცნებიდან“ არც ერთი გამორჩეული პირი, ვინც ზუგდიდში ცხოვრობს და ავტორიტეტი აქვს, არ მიაკარეს არჩევნებს.

— რატომ?

— უკვე ვითხრით: რაც არ უნდა მომხდარიყო, არჩევნებში „ქართული ოცნება“ უნდა დამარცხებულიყო. სხვა ახსნა ამას არ აქვს. მაგალითებს მოგიყვანთ და თქვენ თვითონ დარწმუნდებით ამაში.

„ნაცმოძრაობის“ კანდიდა-



კორცხელი, 2016 წლის 22 მაისი

ხელით. ირაკლი როგავა ვერ დაკავშირებია ვლდიმერ თოლორანიას. მას, ზოგადად, ეხერხება არ უპასუხოთ თანამშრომელთა ზარებს. ამიტომ ირაკლი როგავა მისულა თოლორანიას მძღვანელთან, რომელიც არის გამგებლის „ადიუტანტი“ და უთხოვია, გადაეცემა ეს ამბავი ვლდიმერ თოლორანიას და პასუხი შემატყობინოს. თუმცა პასუხი მაინც ვერ მიუღია. შემდეგ ირაკლი როგავა შტაბის უფროსს ლაშა ზოზანიას დაკავშირებია: რაიმე სამსახური გუშოვთ ამ კაცს, შიმშილით კვდება და ავადმყოფი შვილიც ჰყოლიაო, — უთქვამს. ლაშა გოგავას უპასუხია: ყველაფერი გადაწყვეტილია, ვარაუდებულ ლაშხიას სადაც უნდა, იქ წავიდეს.

ვლდიმერ თოლორანიასაც იგივე უთქვამს, ვერაფერი ვერ შეუშლის ხელს არჩევნებში „ქართული ოცნების“ მოგებას, 70-80% ხმებისა „ქართული ოცნებისა“, არაფერში გვჭირდება მარაბიშვილ ლაშხიას.

აქედანაც კარგად ჩანს, რომ თოლორანიას არ უნდოდა ამ არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ გაემარჯვა. ამიტომაც არ იკარებდა ავტორიტეტულ ხალხს. ამიტომაც ლაპარაკობენ ახლაც ზუგდიდში — ეს იყო გარიგება ნაციონალებთან.

დღეს აღარავინ მალავს მთარულ ხმებს იმის შესახებ, რომ ნაციონალებს აქვთ ვიდეოჩანა-

ემზადებიან შემოდგომამდე არჩევნებში „ქართული ოცნების“ წასაგებად.

მოსამორებელია ორმაგი აგენტები — როგორც ახალაიას გამომრდილი ჩინოვნიკები. ეს არის რეცეპტი, რითაც შესაძლებელი იქნება თავი დაეღწიოთ შემოდგომამდე „ქართული ოცნების“ დიდ კრახს.

— თუ ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი, მუშტი-კრივი რაღა საჭირო იყო?

— ხალხი არ უჭერს მხარს „ნაცმოძრაობას“, ამიტომაც პროვოკაცია იყო საჭირო. აშკარა გაყალბება შეუძლებელი იქნებოდა. იქ იყო ხალხი, რომლებიც გაყალბებას არ დაუშვებდნენ. ეს გამოაშკარავებოდა, ამიტომაც მოიყვანეს ჯანიანი ბიჭები, მოჭიდავეები. ბოკერიას და მელიას პროვოკაცია მოაწვევს. მათთან იყო რუსულან შამანია და მისი ზონდერები 22 კაცი — ძველი სპორტსმენები და პოლიციელები.

როგორც მერე გავიგეთ, არჩევნების დღეს ზოზანია, თოლორანია და დიტო სამხარაძე შეკრებილან, მოულაპარაკიათ, მიუციათ ბრძანება სპორტსმენებისთვის, რომ წინააღმდეგობას არ გაქცეოდნენ. ამასობაში ბოკერია-მელიას პროვოკაცია მოუწყვიათ და მოხდა ის, რაც მოხდა.

მე აღრეც მიმიღია მონაწილეობა საარჩევნო პროცესებში

რომელიც დღემდე იარაღს ატარებს და ამბობს, ცოტა დაიცადეთ, ჩვენ ისევ მოვალთ ხელისუფლებას.

კიდევ ვიმეორებ, კორცხელში რაც მოხდა, ეს იყო წინასწარ დაგეგმილი.

— რამდენი ხმით ლიდერობს „ნაცმოძრაობის“ კანდიდატი?

— 46 ხმით წავაგეთ.

— ახლა რას ამბობენ თოლორანია და გოგავა?

— გადავდგებითო, ამბობენ, სხვა რა უნდა თქვან? ვერ ხსნიან თავიანთ საქციელს. არც უშვებს თბილისი, რომ გადაგეს თოლორანიაო. რა ვიცი, რა მოხდება.

— შემოდგომამდე არჩევნების ბუდი როგორი იქნება, რას ვარაუდობ?

— ხელმძღვანელობა უნდა შეიცვალოს. თუ არ მოხსნიან გამგებელს, არჩევნებს მაინც ნუ მიაკარებენ. მოიყვანონ „ოცნების“ ერთგული ხალხი. თუ ისევ მოლალატელებს ჩაბარდა არჩევნები, თუ იმ ადამიანებს მიანდეს ყველაფერი, რომლებიც ორმაგ თამაშს თამაშობენ, კიდევ გავიმეორებ, დამაცხდება „ქართული ოცნება“ სამეგრელოში. არ დაგავიწყდეთ, ლაშა გოგავა კუდის ყოფილი უფროსია. რა უნდა გააკეთოს მან სასიკეთო? კუდით არიან გადაბმული ნაცებთან.

ირანდა კალანდაძე 593 561 118

ის, რასაც „რესპუბლიკელები“ აკეთებენ, ძალიან ჰგავს სახელმწიფო გადატრიალებას...

„რესპუბლიკური პარტია“, პარლამენტის თავმჯდომარე ანად, უკვე მთლიანად გადავიდა ოპოზიციაში და, ფაქტობრივად, ღიად უპირისპირდება „ქართულ ოცნებას“ ანუ სახელისუფლო გუნდს.

გასაკვირი და გასაოცარი ის არის, რომ ეს ოპოზიციაში გადასული რესპუბლიკური პარტია იმავდროულად სახელისუფლო გუნდსაც წარმოადგენს. ანუ ის ხელისუფლებაშიც არის და ოპოზიციაშიც.

მსგავსი რამ მოხდა 2013 წელსაც, როცა პრეზიდენტობის ვადამოწურული მიხეილ სააკაშვილი მთელი ათი თვე თან პრეზიდენტიც იყო და იმავე დროს ოპოზიციაში ედგა იმ ხელისუფლებას, რომლის პრეზიდენტობასაც იჩემებდა.

საკაშვილი სააკაშვილად, მაგრამ ეს რესპუბლიკური პარტია, რომელიც პროდასავლურობაზე და დემოკრატიული ღირებულებების ერთგულებაზე დებს თავს, რაღაცით ხომ უნდა განსხვავდებოდეს სააკაშვილისგან?

განა არანორმალური და ანომალური არ არის, როცა ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარე ოპოზიციური პარტიის წევრია, იმავე ოპოზიციური პარტიის წევრია სამი მინისტრი, აქედან ერთ-ერთს თავდაცვის მინისტრის პოსტი უჭირავს, ხოლო ამ თავდაცვის მინისტრის ქმარი პარლამენტის თავმჯდომარეა.

დიდი ხანია ვეძებ სახელმწიფოს, სადაც პარლამენტის თავმჯდომარე ქმარია, თავდაცვის მინისტრი ცოლი, მაგრამ ასეთ სახელმწიფოს, გარდა საქართველოსი, ჯერ-ჯერობით ვერსაც მივაკვლიე – ვერც ევროპაში, ვერც აზიაში, ვერც აფრიკაში, ვერც ამერიკის კონტინენტზე.

მართი შუთით წარმოვიდგინოთ, რომ აპარტაიდის თავმჯდომარე და თავდაცვის მინისტრი, რესპუბლიკელები პი არა, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ წევრები არიან, მთავრად კვატანტირაში აპარტაიდის თავმჯდომარეა, მისი მთავარი კიდევ თავდაცვის მინისტრი.

ეს რომ მოხდარიყო, სომ წარმოვიდგინოთ, რა ამაგები დატრიალდებოდა საქართველოში და რა რისხვა დაატყდებოდა თავს „ქართულ ოცნებას“ როგორც ადგილობრივი ოპოზიციური პარტიების და ადგილობრივი ასოციაციების, აგრეთვე საერთაშორისო თანამეგობრობისგან?

ყველას და ყველაფერს

რომ თავი დაეანებოთ, თვით „ნაციონალური მოძრაობაც“ კი კრინტს არ ძრავს ამ ტრაგიკომიკური ფაქტის გარშემო, რაც კიდევ უფრო აძლიერებს გონივრულ ეჭვს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ და „რესპუბლიკურ პარტიას“ შორის ფარული მეგობრობის და ფარული სიყვარულის უძილავი ძაფებია გაბმული.

ამ ტრაგიკომიკური ფაქტის შესახებ კრინტს არ ძრავს გიორგი მარგველაშვილი, როგორც თვითონ ამბობს, „ყველას პრეზიდენტი“, რომელიც ყველას პრეზიდენტი კი არის, მაგრამ რატომღაც „ქართულ ოცნებას“ აშკარად ოპოზიციაში უდგას და შემთხვევას ხელიდან არ უშვებს ვეტოებით „დაბობოს“ „ქართული ოცნების“ საკანონმდებლო ინიციატივები თუ სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

საკაშვილივით, მარგველაშვილიც თან პრეზიდენტი და თან ოპოზიციონერი...

– „რესპუბლიკურმა პარტიამ“, როცა განაცხადა, რომ საპარლამენტო არჩევნებში ცალკე იყრის კენჭს, მაგრამ არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში დაკავებულ თანამდებობებს არ დატოვებენ, ფაქტობრივად, ეს არის სახელმწიფო გადატრიალება და იმ ძალაუფლების მიტაცება, რომელიც მათ არ ეკუთვნით. მოცემულ სიტუაციაში საქართველო, ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალების რეჟიმში ცხოვრობს, თუმცა ამის დანახვა და დაჯერება არავის უნდა“, – ასეთი კომენტარი გააკეთა შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით პირად საუბარში ერთმა ცნობილმა იურისტმა, რომელმაც თავისი ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა.

ვერ გეტყვით, რამდენად ზუსტია ეს შეფასება და ნამდვილად სახელმწიფო გადატრიალებაა თუ არა ის, რაც დღეს ჩვენს თვალწინ ხდება, თუმცა ეს ყველაფერი მართლაც ძალიან რომ ჰგავს გადატრიალების მსგავს ამბავს, ესეც ფაქტია.

„რესპუბლიკელები“ კი იქაინებან, რომ არჩევნებზე ცალკე გავლენ და წარმატებებსაც მიადწევენ, მაგრამ მათზე კარგად ვინ იცის, რომ დამოუკიდებლად შეიძლება ბარიერიც კი ვერ გადალახონ.

ამიტომ, სანამ დავითი პარლამენტის თავმჯდომარეა, სანამ თინა თავდაცვის მინისტრია, სანამ გივლა და პაატა მინისტრები არიან, სანამ მრავალი რესპუბლიკე-

ლი სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში სერიოზულ თანამდებობებს იკავებენ, „რესპუბლიკელები“ შეეცდებიან, რაც შეიძლება სარფიანად ივაჭრონ ხელისუფლებასთან.

„რესპუბლიკელები“ თავიანთი ძვირფასებით, ფაქტობრივად, აზანტაშვან როგორც ხელისუფლებას, ისე მთელ ქართველ ხალხს.

რასაც იხინი აკეთებენ, ეს არის პოლიტიკური კალაღობა და ფსიქოლოგიური ზიზილა ქართველ ხალხს, რომელსაც დიდი ხანია „რესპუბლიკელები“ ღიად უპირისპირდებიან და, იმავე დროს მისგან მხარდაჭერას მოითხოვენ, რაც სხვა არაფერია, თუ არა ცინიზმი და უბიფრობა.

– „რესპუბლიკელებს“ თუ დაბალი რეიტინგი აქვთ, ეს არის არა ჩვენი, არამედ ქართველი ხალხის ბრალი, რომელიც ჩვენს დონემდე ვერ ამალდა, – დაახლოებით ამ შინაარსის „თვალ-მარგალიტი“ გადმოაფრქვია ამ ორი-ოდე წლის წინათ „რესპუბლიკელების“ გურუმ ლევან ბერძენიშვილმა.

მსგავს თვალმარგალიტებს ხშირად აფრქვევენ „რესპუბლიკური პარტიის“ სხვა წევრებიც დაწვებული დავით უსუფაშვილით და დამთავრებული დავით ზურაბიშვილით.

„რესპუბლიკელები“ ინტელექტუალურ პოლიტიკურ ძალას უწოდებენ საკუთარ თავს, თუმცა ესენი, უმრავლეს შემთხვევაში, აბსოლუტურად ფსევდოინტელექტუალური, ნარცისული და ამპარტავნული ბუნების ადამიანები არიან, რომლებსაც, ფაქტობრივად, არაფერი აქვთ საერთო საკუთარ ხალხთან.

ამიტომაც აღიქვამს მათ ქართველი ხალხი უცხო ქვეყნების ინტერესების, უცხო და მიუღებელი იდეოლოგიის გამტარებელ დივერსიულ ძალად.

„რესპუბლიკელები“, ჯერ-ჯერობით, ზოგადად, „ქართული ოცნების“ კრიტიკით კმაყოფილდებიან და პერსონალურად არ უტყვენ ბიძინა ივანიშვილს. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ეს დროც მალე მოვა...

ქართული პოლიტიკური თეატრის ბნელ კულისებში დიდი გადარბენ-გადმორბენები და დიდი მისვლა-მოსვლა აქვთ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს.

დიდი დალატის და შეთქმულების სამზადისს უფრო ჰგავს ეს ყველაფერი, ვიდრე



არჩევნებისთვის მზადებას.

ასეთ დროს სახლში გყავდეს „რესპუბლიკური პარტია“, ეს იგივეა, სახლში გედროულად იმდენ პულტთან არის მიერთებული, არავინ იცის, ვინ დააჭერს დილაკს თითს და ვინ აგვაფთქებს.

„ქართული ოცნების“ მესვეურებო, დროზე გაიტანეთ

ეს ბომბი „ქართული ოცნების“ სახლიდან, დროზე გაიტანეთ, თორემ ეს ბომბი ერთდროულად იმდენ პულტთან არის მიერთებული, არავინ იცის, ვინ დააჭერს დილაკს თითს და ვინ აგვაფთქებს.

გიორგი ჩხეიძე

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, 2015 წელს საქართველოში 6432 საგზაო სატრანსპორტო შემთხვევაა რეგისტრირებული. ეს მაჩვენებელი 440-ით აღემატება 2014 წლის მონაცემებს. 922-ით მეტია 2013 წლის რეგისტრირებულ შემთხვევებზე და 1073-ით აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს. გაზიარებულ ავტოსაგზაო შემთხვევებზე, მათ გამოწვევებზე და სახელმწიფოს მიერ სასწრაფოდ გასატარებულ პრევენციულ ზომებზე მძღოლთა ასოციაცია „ტასატის“ თავმჯდომარე ნიკოლოზ კახაძეაუბრა:

– როგორც წინა, ისე ამჟამინდელ ხელისუფლებას წლების განმავლობაში ვაფრთხილებდი, რომ გზებზე უსაფრთხოების მხრივ მდგომარეობა გაუარესდებოდა. სამწუხაროდ, ჩემი პროგნოზი გამართლდა: საგზაო მოძრაობის წესების დაცვას გადაჩვეული მძღოლები

რაოდენობა შემცირდა, მაგრამ ქუჩებში მოძრაობა მოწესრიგდა. კონკრეტულ მაგალითს გეტყვით – ყაზბეგის ქუჩა ვაჟა-ფშაველაზე რომ უხვევს, იმ კუთხეში იდგა ვიდეოვალი, რომელიც აფიქსირებდა ხაზის მონიშნებიდან გადაკვეთას. ჩემს ნაცნობ მძღოლს ამ ადგილზე დარღვევის გამო ცხრაჯერ მოუვიდა 20-ლარიანი ჯარიმა. როგორც იქნა, ჭკუა ისწავლა და იმის მერე ამ ადგილზე ერთხელაც აღარ დაურღვევია. ისეთ კატასტროფულ ვითარებაში, რაც ჩვენს გზებზეა, საჭიროა რაც შეიძლება მეტი ვიდეოკამერა და სატრანსპორტო პოლიცია, რომელიც მართო საგზაო დარ-

ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ მოძრაობის წესებზე, რომ ვერც ხვდებიან, რომ დააშავეს. წარმოიდგინეთ, უმეტესად, ავტოსაგზაო შემთხვევებში დამნაშავე მძღოლები რეკავენ პოლიციაში და პატრულს იძახებენ. სხვათა შორის, „საცობების“ 50% სწორედ უვიცი მძღოლების წყალობით იქმნება, მაგრამ რა დროს „საცობებია“, როცა გზებზე პოტენციური მკვლელები დადიან? რატომ ვლუპავთ ადამიანებს? ისედაც „ერთი მუჭა“ ერთ ვართ და ერთმანეთი თუ ვხოცეთ, რაღა დაერჩებით? – როგორც მასოვს, დარღვევებზე სასჯელების გამკაცრებასაც ითხოვდით..



საქართველოს გზებზე პოზენსიური აკვლავლები დათარგმნა



როგორც უნდათ, ისე დადიან, ყველაფერი „მიშვეულია“ და გზებზე ვითარება კატასტროფულად გართულდა. კი, ბატონო, ძველი ავტოსაგზაო შემთხვევების სისტემა იდეალური არ იყო მაგრამ საერთოდ უკონტროლოება უარესია. ათასჯერ ვთქვი, რომ ცალკე უნდა ჩამოყალიბდეს საგზაო პატრულის ინსტიტუტი, თორემ საპატრულო პოლიცია გზებზე წესრიგის დამყარებას ვერ შეძლებს. უბრალოდ, ამისთვის ადამიანების რაოდენობა არ ეყოფა. პატრულმა ყაჩაღს სდიოს, მკვლეელი დაიჭიროს, ოჯახური კონფლიქტები აგვაროს თუ გზებზე წესრიგის დაცვას მიხედოს? უკონტროლობამ მძღოლები ისე გაათამამა, აღარაფერს ერიდებიან. რომ გავიდეთ და გააჩეროთ, 10 მძღოლიდან 5 ნასვამი იქნება.

– კი, მაგრამ საგზაო უსაფრთხოებას საპატრულო ეკიპაჟების გარდა უმარაგ ადგილზე დამონტაჟებული ვიდეოკამერებიც ხომ აკონტროლებენ?

– სამწუხაროდ, ბევრი ვიდეოკამერა მწყობრიდან გამოსულია. ბევრგან კი საერთოდ არ დგას. ადრეც მითქვამს, რომ ლონდონმა გზებზე ვიდეოკამერების დაყენებაში რამდენიმე მილიარდი ევრო დახარჯა, მაგრამ პირველივე წელს ჯარიმების სახით, სამჯერ მეტი ამოიღო. მეორე და განსაკუთრებით, მესამე წელს ჯარიმების

დევებზე იქნება ორიენტირებული, თორემ ხეალ და ზეგ, შეიძლება, საერთოდ ვეღარ გავიდეთ ქუჩაში.

– მძღოლების განათლების მხრივ რა მდგომარეობა გვაქვს?

– მე მთელი დღე ქუჩაში ვარ და მოძრაობას ვაკვირდები, ამიტომ შემიძლია სრული პასუხისმგებლობით ვითხრა, რომ მძღოლების დაახლოებით 70% გამოცდები ხელახლა აქვს ჩასაბარებელი. თქვენც შეგიძლიათ სადმე გააკრათ აბრა „ავტოსკოლა“ და მოსწავლეები აიყვანოთ. ტესტებს დაახვეპირებინებთ, მანქანის გაწვევ-გამოწვევას ასწავლით და მორჩა. მე არ მინახავს ქუჩაში მოძრაობის სასწავლო მანქანებით რომ ვინმეს რამეს ასწავლიდნენ. ასეთ „ავტოსკოლებს“ არც სერტიფიკატს სთხოვს ვინმე და არც სწავლების ხარისხს უმოწმებს. გაგახსენებთ, რომ საბჭოთა პერიოდში სახელმწიფო ავტოსკოლები იყო, სადაც მართვა სამი თვის განმავლობაში ისწავლებოდა. თეორიული კურსის გავლის შემდეგ იწყებოდა პრაქტიკა. ამ დროს მოსწავლეს და მასწავლებელს სასწავლო მანქანით მთელი თბილისი უნდა შემოევილოთ. ახლა როგორ ახერხებენ ორ დღეში მომზადებას და გამოცდაზე გასვლას, ვერ გამოვიგია. უვიც მძღოლებს მართვის სწავლა კი არა, მოწმობა უნდათ, რომ გზაზე არავინ გააჩეროს. იმდენად

– ნამდვილად ვითხოვდი და ვითხოვ, რადგან სიმთვრალეზე, ტელეფონზე საუბარზე და ა.შ. ძალიან პატარა სასჯელებია. მძღოლს ერთ ხელში რომ სიგარეტი უჭირავს, მეორეში ტელეფონი და გაცხარებული ლაპარაკობს, იმან რა მოძრაობის წესები უნდა დაიცვას? ტელეფონზე საუბრისთვის ჯარიმა 10 კი არა 100 ლარი უნდა იყოს. გააჩერე შე დალოცვილო, ისაუბრე და მერე წადი ან უთხარი, რომ მოგვიანებით დაგიჩივოს. ან საკუთარ სიცოცხლეს რატომ აგდებ საფრთხეში ან სხვების? აუცილებლად მინდა შევეხო კიდევ ერთ თემას. სკოლებში ბოლო ხარი დაირეკა და ბანკეტების დრო მოახლოვდა. ჩვენ უამრავი შემთხვევა გვახსოვს, როცა სკოლის დამთავრების სიხარული გლოვამ და ტირილმა შეცვალა, ამიტომ ვერ ვხვდები, რატომ აძლევენ მშობლები ბავშვებს მანქანას და რატომ უშვებენ სასაკლავოზე? ამ ბავშვების ნახევარზე მეტმა ტარება არ იცის, ბევრს მართვის მოწმობაც არა აქვს და ისე დააქროლებს მამიკოს ძვირადღირებულ მანქანას. სწორედ ბოლო ხარის დღეს, ისე ჩამიქროლა ბავშვებით სავსე მანქანამ, რომ კინალამ განათების ბოძს შეასკდა. ზოგი ბავშვი ლუკიდან იყო ამოსული, ზოგი მანქანის ფანჯრებზე იყო შემოსკუპებული. რატომ ვაკეთებთ ამას და რატომ ვერ ვსწავლობთ ჭკუას? იცით, საგ-

ზაო პატრულის არარსებობა კიდევ რა პრობლემებს იწვევს? უამრავი მაგალითი შემიძლია დაგისახელოთ, როცა ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ მძღოლები მანქანების გაკეთებაზე რიგდებიან და პატრულის მოსვლამდე მიდიან. შემდეგ რომელიმე მხარე პირობას არღვევს და კრიმინალური გარჩევები იწყება. ეს ყველაფერი საშინელ მასშტაბებამდე მიდის. იმისათვის, რომ ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა შემცირდეს და გზებზე წესრიგი დამყარდეს, აუცილებელია, რომ საკითხი სამთავრობო დონეზე გახდეს პრიორიტეტული და სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს. უნდა შეიქმნას საკოორდინაციო რგოლი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ქვეყანაში საგზაო უსაფრთხოებაზე, თორემ ნორმალური მძღოლებისთვის მდგომარეობა სულ უფრო აუტანელი ხდება. მოგეხსენებათ, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისთვის მიძღვნილი ღონისძიებების გამო, ქუჩები გადაიკეტა და მიმდებარე ტერიტორიებზე მანქანები თითქმის ორი საათი საცობში იდგნენ. ამის აცილება თავისუფლად შეიძლებოდა, მერიისა და შსს შეთანხმებით, მიმდებარე ქუჩები მხოლოდ ავტობუსებისა და სამარშრუტო ტაქსებისთვის რომ გაეხსნათ. ვილაცამ გაითვალისწინოს, რომ ამ ტრანსპორტს დღეში მილიონნახევარი

რი მგზავრი გადაჰყავს. საწვავი ტყვილად იხარჯება, მგზავრები იტანჯებიან, მძღოლებს ნერვები დაწყვეტაზე აქვთ. ძალიან ძნელია, რომ ასეთ განსაკუთრებულ ერთი ცენტრალური გზა მართო საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის დატოვონ? საუბრის ბოლოს გეტყვით, რომ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაზე სერიოზულად თუ დაფიქრდით და სასწრაფო ღონისძიებები არ გავატარებთ, ტურისტები ჩამოგვყავა კი არა, ადგილობრივი მაცხოვრებელი ვეღარ გავა ქუჩაში.

2015 წელს ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად საქართველოში 602 ადამიანი დაიღუპა. სტატისტიკა მოწმობს, რომ წინა წელთან შედარებით, დაღუპულთა რაოდენობა 91-ით არის გაზარდილი. გაზრდილია დაშავებულების რაოდენობაც. 2012 წელს ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად 7734 ადამიანი დაშავდა, 2013 წელს - 8045, 2014 წელს - 8536, ხოლო 2015 წელს დაშავებულთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით 651-ით გაიზარდა. 2015 წელს დაღუპულთა შორის 160 ფეხით მოსიარულეთა. 2015 წელს 28 დაღუპული და 912 დაშავებული ბავშვია. ოფიციალური მონაცემებით, გაზრდილი ავტოსაგზაო შემთხვევების მთავარი მიზეზი არასწორი მანევრირება, სიჩქარის გადაჭარბება, ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვა და ფეხით მოსიარულეების ბრალეულობაა.

საგზაო უსაფრთხოების კანონპროექტის დაუყოვნებლივ განხილვის მოთხოვნით, 29 მაისს სატრანსპორტო სფეროში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები პარლამენტის შენობის წინ აქციას გამართავენ. მოიცლიან თუ არა წინასაარჩევნო ბატალიებში ჩართულ საკანონმდებლო ორგანოში საგზაო უსაფრთხოებისთვის, დრო გვაჩვენებს, მანამდე კი საქართველოს გზებზე სისხლიანი სტატისტიკა გრძელდება...



ნელი თორდია
571 35 36 88

ქალი გამოგონებლები და მათი არაქალური გამოგონებები

ჩვეულებებისა, სიტყვა „გამომგონებელი“ მხოლოდ მამაკაცებთან ასოცირდება. თუმცა არაერთი მნიშვნელოვანი გამოგონება სუსტი სქესის წარმომადგენლებს ეკუთვნის. ქალმა გამოგონა ცირკულარული ხერხი, ავტომობილის მანქანი, წვალქვეშა ნაფის პერისკოპი, ჯავშანფილეთი და ბევრი სხვა რამ.

ამჟერად მხოლოდ ქალების რამდენიმე გამოგონებას შემოვთავაზებთ.



ასტროლაბია - სიურ სხეულთა ქოროდინატების განსაზღვრა. ციურ სხეულთა კოორდინატების და სითხის სიმკვრივის

იგონა ცირკულარული ხერხის პროტოტიპი.

ჭურჭლის სარამსი მანქანა

ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ჭურჭლის სარეცხი მანქანა იმ ადამიანმა გამოგონა, ვინც ყოველდღიურად ჭურჭლის უზარმაზარ მთებს რეცხავდა. სინამდვილეში ყველაფერი ასე როდი გახლდათ. პირველი პატენტი ჭურჭლის სარეცხ მანქანაზე ჯოზეფინა კოკრეინს ეკუთვნის. ამ გამოგონებაზე ქალს ერთმა ტრავიკულმა ამბავმა უბიძგა - ერთხელ სამზარეულოს დალაგებისას შემთხვევით გაუტყდათ დახვეწილი ჩინური სერვიზი, რომელიც ქა-

მანქანას ათი ადამიანის ჩანაცვლება შეეძლო. მალე სულ უფრო და უფრო მეტმა ოჯახმა დაიწყო ამ მოწყობილობის შექმნა.

მანქანის საქარე მინის საწმენდი

მერი ანდერსონი ნიუ-იორკში XX ს-ის დასაწყისში ჩაიგდა. ქალაქი დღევანდელს სრულებითაც არ ჰგავდა, არც ამდენი ტურისტები იყო და არც ასეთი საცობები. მანქანები იშვიათობა იყო. ვინ იფიქრებდა, რომ ალაბამიდან მსხვილ მეგაპოლისში ჩამოსული ქალბატონი გამოიგონებდა იმას, რაც მალე ნებისმიერი ავტომობილისთვის აუცილებელ ნაწილად იქცეოდა. როცა ანდერსონი ტრამპაით მგზავრობდა თოვლით დაფარულ ქალაქის ქუჩებში, ყურადღება მიაქცია, რომ მძღოლი ხშირად ჩერდებოდა მხოლოდ იმის გამო, რომ საქარე მინები თოვლისგან გაეწმინდა. ეს მაშინ ნორმად ითვლებოდა. სწორედ ამიტომ თოვლი და წვიმა კომარად იყო ქცეული მათთვის, ვინც საჭესთან იჯდა. როდესაც ქალი შინ დაბრუნდა, მან გამოიგონა სპეციალური დამწმენდი, რომელიც შპინდელზე მაგრდებოდა და სახელურით საქარე მინის გარეთა მხარეს კეთდებოდა. თუ მძღოლს შუშის გაწმენდა დასჭირდებოდა, იგი სახელურს გამოქაჩავდა, მექანიზმი კი თვითონ წმენდდა ჭურჭელს. ამ გამოგონებისთვის ანდერსონმა პატენტი 1903 წელს მიიღო, ხოლო ათასობით ამერიკელის მანქანებზე მხოლოდ 10 წლის შემდეგ გაჩნდა ეს მოწყობილობა, რომლის გარეშეც თანამედროვე მანქანის წარმოდგენა შეუძლებელია.

საქარე მინის ელექტრონული საწმენდებიც, რომლებიც ავტომანქანის ძრავიდან მუშაობდა, ქალმა, შარლოტა ბრიჯვუდმა შექმნა, მაგრამ მამაკაცებმა არ დაიჯერეს ამ იდეის და ამ გამოგონების საბოლოო ვარიანტი ფირმა Bosh-ს მიეწერა.



ელენ ეგლუი



სტეფანია კოლმეი

პერისკოპი წყალქვეშა ნავებისთვის

ეს გამოგონება, რომელიც სათვალთვალო ობიექტამდე მანძილს განსაზღვრავს, რაც უნდა საოცარი იყოს, ქალმა შექმნა. პერისკოპი 1845 წელს დააპატენტა სარა მეტერმა. მან ეს გამოგონება ცარიელ ადგილზე როდი შექმნა, მისი მიახლოებითი ანალოგი ადრეც იყო ცნობილი. სარას დამსახურება კი ისაა, რომ ეს მოწყობილობა არმიაში პრაქტიკულ გამოყენებამდე „მიიყვანა“. პატენტი ქალს 1845 წელს გადაეცა, ხოლო პერისკოპების მასობრივი გამოყენება ამერიკის სამოქალაქო ომის წლებში (1861-1865 წწ.) დაიწყო. ჯარისკაცები პერისკოპს თოფებზე ამარაგებდნენ და ისე ისროდნენ სანგრებიდან ამოუსვლელად. მოგვიანებით პერისკოპის გამოყენება ფლოტში დაიწყო, კიდევ უფრო მოგვიანებით - ტანკებზე.

თოვლის საწმენდი მანქანა

თოვლის საწმენდი მანქანა 1892 წელს სინთია ვესტოვერმა გამოიგონა, რომელიც მდივანად მუშაობდა და ძალიან უყვარდა მოდური ფეხსაცმლის ტარება. მაგრამ ზამთრის პერიოდში ფეხსაცმელში ხშირად ევრებოდა

თოვლი. გოგონა ამ პრობლემის გადაჭრის გზებზე დაფიქრდა და ერთხელ გამოსავალსაც მიაგნო. ფურცელზე შექმნა ტროტუარების გასაწმენდი უბრალო მანქანის ნახაზი, რომელიც თოვლისგან გაასუფთავებდა ტროტუარებს და მას ჰაერის ჭავლით გზის იქით გადახვეტავდა.

ქველარი

როდესაც სტეფანია კოლმეი ახალ სამსახურში იწყებდა მუშაობას, თვლიდა, რომ ეს დროებითი იყო. 1846 წელს გოგონა კომპანია DuPont-ში მივიდა, რათა სამედიცინო კოლეჯში სწავლის გასაგრძელებლად ფული დაეგროვებინა. 18 წლის შემდეგ იგი კვლავ იმავე ადგილზე მუშაობდა. სტეფანია მუხლჩაუხრელად მუშაობდა და ატარებდა ცდებს პოლიმერების მყარ სინთეტიკურ ბოჭკოებად გარდაქმნაზე. დიდი ხნის შემდეგ სტეფანიამ შექმნა ბოჭკო, რომელიც ფოლადით მკვრივია. ამ მასალას კეველარი დაარქვეს. ამჟამად ის გამოიყენება თვითმფრინავის შინების, მანქანის საბურავების, მუხრუჭების ზუნდების, შლემების, თხილამურების წარმოებაში. განსაკუთრებით პოპულარული ეს ნივთიერება მას შემდეგ გახდა, რაც მისი გამოყენება ჯავშანფილეთების დასაწმენდლად დაიწყო.

სტეფანია კოლმეის ცხოვრება ისე წარიმართა, რომ იგი სამედიცინო სკოლაში ვერ მოხვდა, მაგრამ მისმა გამოგონებამ ათასობით ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა.


სარამსი მანქანის დოკუმენტი

გამომგონებელმა ელენ ეგლუიმ გამოიგონა სარეცხი მანქანის დოკუმენტი და თავისი გამოგონების პატენტი 1888 წელს 18 დოლარად გაყიდა, რადგან „არავინ იფიქრებდა სარეცხ მანქანას, თუ გაიგებდნენ, რომ მისი პატენტის მფლობელი ვიღაც „შავკანიანი“ იყო“.

მოამზადა ბელა გველმისიანმა 568 90 81 22

კნუტ ჰამსუნი:

საქართველო სულ სხვა საფაქროა



აქ ხალხი უფრო ლამაზია, ღვიწკი – უფრო წითელი და მთები – უფრო მაღალი

უკვე რამდენიმე გახმაურებული რომანის ავტორი იყო, როცა 40 წლისამ კავკასიაში მოგზაურობა გადაწყვიტა. 1899 წელს რუსეთის გავლით ჩავიდა კავკასიაში. სავარაუდოდ, ეს იყო საქორწინო მოგზაურობა და „თაფლობის“ თვეც, რადგან თან ახლდა ახალშერთული ახალგაზრდა მეუღლე ბერგლიუტ ბენი (რატომღაც მას სახელით არსად მოიხსენიებს, ხან „ჩემი ქალბატონია“, ხან „პიროფასი ქალბატონი“). შთაბეჭდილებები გადმოცემულია 1903 წელს გამოცემულ წიგნში „ზღაპრულ სამეფოში. ოცნებები და შთაბეჭდილებები კავკასიაზე“, რომლის ავტორი „ყველაზე ნიჭიერი, ყველაზე გამოჩენილი და ყველაზე საკამათო“ ნორვეგიელი ნობელიანტი მწერალი კნუტ ჰამსუნი.

ჰამსუნი მეუღლესთან ერთად პეტერბურგში ჩავიდა და იმავე საღამოს მატარებლით გაემართა მოსკოვისკენ. მეორე დღეს კი ისევ მატარებლით გაემგზავრა შემდეგი მარშრუტით: მოსკოვი – ვორონეჟი – დონის როსტოვი – არმავირი – პიატიგორსკი – ვლადიკავკაზი. როგორც კი ჩავიდა „კავკასიის მფლობელ ციხე-ქალაქში“, ოთხთვალა ეტლით თბილისისკენ აიღო გეზი.

თავის შთაბეჭდილებებს მოგზაურობის დღიურში ინიშნავდა. აი, როგორ აღწერს ჰამსუნი ყაზბეგთან შეხვედრას:

„უცებ, გზის მკვეთრ მოსახვევთან, ხელმარჯვნივ, ხეობა გაიხსნა და თვალწინ აღიმართა ყაზბეგი – თავისი მზეზე მოლამა-

ლაპე მყინვარით. სულ ახლოსაა, ხელის გაწვდენაზე, მშვიდი, უსასრულო, მღუმარე. უცნაური გრძობა გვეუფლება: მთა-გოლიათი გამოეყო სხვა მთებს, ახლოს მოვიდა და გვიყურებს – როგორც სხვა სამყაროდან გადმოსული არსება. ჩამოვხტივტივდივდი, ხელით ჩავაფრინდი ეტლის კიდეს და ვუყურებ ყაზბეგს. თავბრუ მეხვევა, თითქოს მოვწყდი მიწას, თითქოს გრიგალმა ამიტაცა, წავედი მაღლა-მაღლა და ღმერთის პირისპირ აღმოვჩნდი... აღრეც ვყოფილვარ მთებში, მაგრამ არსად მიგრძნია, რომ ფეხქვეშ მიწა გამომცლოდეს.“

სადგურ ყაზბეგიდან ცოტა მოშორებით ოსები ცხოვრობენ, ხალხი, რომლის წარმოშობასა და სახელწოდებაზე არავინ არაფერი იცის. თვითონ თავს ირონებს უწოდებენ, წერს მწერალი და დანანებით ამბობს, კარგი იქნებოდა, რამდენიმე საათით რომ ავსულიყავი მთაში, მენახა ოსები, გამოკვლევა ჩამეტარებინა და ამ მოგზაურობის შედეგად ამ საკითხში მეცნიერებისთვის რამე სარგებლობა მომეტანაო.

დასახლებულ პუნქტ კობში ერთი ღამით ჩერდება და ბუნებით აღფრთოვანებულ მწერალს ღმერთი და მისი ქმნილი ფიქრებს აუშლის:

„მე, რომელსაც ბევრი სხვა ადამიანისგან განსხვავებით, ჯერჯერობით, კიდევ არ მაქვს ურთიერთობა ღმერთთან გარკვეული, ვზივარ აქ და ღმერთსა და მის ქმნილებას ვფიქრობ. ახალ, გონებით მიუწვდომელ ჯადოსნურ სამყაროში მოვხვდი. ეს უძველესი მხარე, სადაც დამნაშავეებს ასახლებდნენ, თურ-

მე ყველაზე განსაცვიფრებელი მხარე ყოფილა დედამიწაზე. ვიძირები საკუთარ თავში და ნეტარებისგან ათრთოლებული, ხმამაღლა ვლაპარაკობ.“

მთელი ამ მოგზაურობის განმავლობაში კნუტ ჰამსუნი აღფრთოვანებულია ბუნების საოცრებებით და საკუთარ თავსაც უსვამს რიტორიკულ შეკითხვას: ვინ უკეთ ცხოვრობს – ევროპელები და იანკები თუ კავკასიელები?

„მოვარე უკვე გამოჩნდა ცაზე, თუმცა ჯერ დღის ხუთი საათია. მზე და მთვარე ერთად ანათებს. თბილა. ეს ქვეყანა აღრე ნანახ არც ერთ ქვეყანას არ ჰგავს. და კვლავ იმავეს ვფიქრობ – შემეძლო, მთელი სიცოცხლე აქ გამეტარებინა. ისე დაბლა დავეშვი, რომ კვლავ გამოჩნდა ვენახი, ტყეში – კაკლის ხეები. მზე და მთვარე კამკამებს, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ბუნების ზღაპრული სილამაზე ადამიანს თრგუნავს. ისიც კი, ვინც აქაურია და ყოველდღე უყურებს ამ სილამაზეს, გაკვირვებას ვერ მალავს... აქ მცხოვრები ხალხისთვის უცნობია ნიუ-იორკის ბირჟის ავადმყოფობა – კურსის აწევა და დაცემა. აქაურის ცხოვრება იპოდრომზე გამართულ დოღს არ ჰგავს. განა შეიძლება იმის მტკიცება, რომ ევროპელი და იანკი კავკასიელზე მაღლა დგანან? ღმერთმა უწყის. ეს ისეთი სადავო საკითხია, რომ უფლის მეტი ამაზე პასუხს ვერავინ გასცემს.“

გზაზე ქართულ სოფლებს ათვალიერებს, ყველაფერს საგულდაგულოდ ინიშნავს:

„თვითონ უფალმა აქაურ

სოფლებსა და ველმინდერებს მთების სახით საიმედო დაცვა დაუყენა. ყოველი სოფელი ერთმანეთთან გადაბმული სახლების კომპლექსია, სახლები კლდეშია გამოძრული. აქ არც ქუჩაა და არც გზა, სახლი სახლს კიბით უკავშირდება, თითქოს თაროებიან, კლდეზე კიბია ერთიმეორის მიყოლებით...“

ანანურიდან დუშეთისკენ მიმავალი გზაზე ხარბად ათვალიერებს ყველაფერს, სადღესასწაულო ლანდშაფტს უწოდებს გზისპირას გადაშლილ ველს:

„ქალებს მხრებზე შედგმული კოკებით წყალი ამოაქვთ არაგვიდან. არაგვმა თითქოს არ იცის, საით იდინოს, გზის ძებნაში უცნაურად იკლაკნება, ხან წინ მიდის, ხან უკან ბრუნდება... ამ ქალებმა განწყობა საგრძობლად გამომიკეთეს. წამიკითხავს, კავკასიელი ქალები თვალტანადობით ვერ გაგაკვირვებენო, მაგრამ ამ ქალებს ვერც თვალტანადობას დაუწუნებ, ვერც მოხდენილობას და მათი სიარულის მანერა ხომ შეუდარებელია. კოკა მხრებზე უდგათ, თავისუფალი ხელი კი წელზე შემოუვლიათ, მსგავსად ბერძნული ან იტალიური მანერისა. ასეთი სანახაობა არასოდეს გვინახავს, არაჩვეულებრივი გრაციის ქალები არიან, მიდიან, თითქოს მირონინებენ...“

მცხეთაში ცოტა ხანს ჩერდება. იცის, რომ საქართველოს ძველი დედაქალაქია. ვიდრე სამოგზაუროდ წამოვიდოდა, უამრავი წიგნი გადაიკითხა და კავ-

კასიაზეც და საქართველოზეც მნიშვნელოვანი ცნობები მოიძია. ტფილისთან შეხვედრას კი ასე აღწერს:

„ვეუახლოვდებით თფილისს. გზა სულ მტკვრის ნაპირს მიჰყვება. მტკვარი დიდი და ლამაზი მდინარეა... შორიდან გამოჩნდა ტიფლისი – თითქოს წერტილებია მიმოფანტული, რაღაც თავისებური სამყაროა. თავზე ბურუსი ადგას. აი ისიც – ქალაქი, რომლის შესახებ წერდნენ რუსი პოეტები, ქალაქი, რომელიც ბევრ რუსულ რომანშია ნახსენები. უცებ ჭაბუკად ვიგრძენი თავი, განცვიფრებული აქეთ-იქით ვიყურები და საკუთარი გულისცემა მესმის...“

თანამემამულეებს აცნობს ტფილისს – საქართველოს გულს:

„ქალაქში ას სამოცი ათასი მცხოვრებია, აქედან კაცი ქალზე ორჯერ მეტია. აქ სამოცდაათ ენაზე ლაპარაკობენ... ტფილისმა რომაელების, სპარსელების და თურქების მბრძანებლობის წლები გამოიარა, ახლა რუსების ხელშია. ბოლო წლებში ტფილისის აყვავება მის მოხერხებულ გეოგრაფიულ მდებარეობას მიეწერება – სავაჭრო გზაჯვარედინზე მდებარეობს, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს მთას, კასპიის ზღვას, რუსეთსა და სომხეთს. ქალაქში დიდებული მუზეუმები, თეატრები და ფერწერული ნამუშევრების დარბაზებია. აქ არის ბოტანიკური ბაღი, ციხესიმაგრე, ქართველ მეფეთა სასახლეც, რომელსაც ამჟამად საპყრობილედ იყენებენ, და ბოლოს, აქ რომელიღაც რუსი გენერლის ქანდაკებაც დგას... მაღლა, მთის კალთაზე, წმინდა დავითის მონასტერია. ის ქართველებისთვის წმინდა მთაზე – მთაწმინდაზე მდებარეობს...“

იმდროინდელი ქალაქის ზოგიერთი უბანი ქალაქის შთაბეჭდილებას ახდენდა, მისი დიდი ნაწილი კი ის-ის იყო განვითარებას იწყებდა. მწერალი მაინც ეგზოტიკური და უჩვეულო უბნით დაინტერესდა:

„ერთმა უბანმა ისე მოგვხიბლა, რომ მრავალჯერ ვეწვიეთ – ეს აზიური უბანია. ტფილისში არის სარკიანი ვიტრინები, კონკები, თეატრი – ვარიეტე, ბატო-



ნები და ქალბატონები, ევროპულად ჩაცმულ-დახურულნი, აზიური უბანი სხვა არის. აქაურ ქუჩებს, კაცმა რომ თქვას, ქუჩებს ვერც დაარქმევ: შესახვევი, ჩიხი, კიბე. ესაა და ეს. კიბე აქ სახლს სახლთან აკავშირებს – გვერდიდან, ზევიდან, ქვევიდან. დუქნებში სხვადასხვა ტომის ხალხი ვაჭრობს: და რა საოცარ ნივთებს ჰყიდიან! თიანთა და კონსტანტინეპოლში ვაჭრობას სპარსელები და თურქები ეწევიან. აქ კი ყველა, ყველა, ვინც კავკასიაში ცხოვრობს: სპარსელი, ქურთი, სომეხი, არაბი, თურქენი, პალესტინელიცა და ტიბეტელიც. აქ სიმშვიდეა, არავითარი ფუსფუსი. აღმოსავლური უმფოთველობა მომხიბვლელია... დუქნების პატრონები მწვანელობანდიანი პირები იყენებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ სამჯერ ნახეს წინასწარმეტყველის საფლავი, ყოფილან მქაშიც. ერთი სიტყვით, რჩეულ-თანაზოგადობაში აღმოვჩნდით, სადაც ყველას დიდი ღირსებით ეჭირა თავი“.

ერთმანეთს ენაცვლება დადებითი და უარყოფითი შთაბეჭდილებები. მწერალ მოგზაურს მცხუნვარე მზე, მტვრიანი ქუჩები, ქალაქის მცხოვრებთა

როგორც ის ფურცელი, რაზედაც წერენ... ფურცელი წმინდა წიგნის გადაწერას ემსახურება. ამიტომაც უდრემის პატივისცემის ღირსია... დიდი მოკრძალებით ჩაუვარეთ წიგნებისა და ქაღალდების ჯიხურებს. შიგ მსხდომნი ყურადღებას იქცევენ ღირსეული თავდაჭერილობით.

ღირსეულობა! განა ვინმე არის აქ ღირსებას მოკლებული?“

თუ რომელიმე დუქანს მიაღეჭი და პატრონი იქ არ დაგხვდა, გამორიცხულია, დაგინახოს და უცებ მოგვარდეს და შეგიპატიჟოს. გაძლევს შესაძლებლობას, დაელოდო. თუ ამ დროს მეზობელს ემუსიფება, განაგრძობს მუსიფს. თუ დაუძახებენ, მუშტარი გელოდებო, წამოდგება დინჯად, დარბაისლურად. უცებ რატომ არ მოიბინა? იმიტომ, რომ არ შეშვების, მუშტარის დანახვაზე სიხარბე გამოიჩინოს. თუმცა სულ თვალთახედვის არეში ჰყავდი. აღმოსავლელ ადამიანს სიხარბე არ სჩვევია, თუ ის დასავლეთის ცივილიზაციამ არ გადააგვარა“.

თბილისში ყოფნისას მწერალი გამუდმებით პარალელს ავლებს აქაურობასა და მსოფლიოს სხვა ქალაქებს შორის.

ბაქოში გაემგზავრა სპარსეთში გადასასვლელად. თუმცა ფრანგულმა აკრედიტივმა გეგმები შეუცვალა – ბაქოს ბანკებში ამ საბუთით ფულის გაცემაზე უარი უთხრეს, რადგან მსგავსი ფინანსური ქაღალდი იქ ჯერ არ ენახათ. იძულებული გახდა თბილისში დაბრუნებულიყო, სადაც ბანკები ფრანგული აკრედიტივებითაც მუშაობდნენ. როგორც კი ნაღდი ფული მიიღო, სპარსეთის ნაცვლად ბათუმში, შავ ზღვაზე გაემგზავრა...

თავის ჩანაწერებს ავტორი ასე ამთავრებს:

„ხვალ ისევ ბაქოში მივდივართ, იქიდან უფრო შორს – აღმოსავლეთისკენ! მალე გამოვეთხოვები აქაურობას, მაგრამ ყოველთვის მომენატრება, ტყუილად ხომ არ დავღვი მტკვრის წყალი“.

სინამდვილეში, კნუტ ჰამსუნი ბაქოში არ ჩასულა, არასოდეს ყოფილა აღმოსავლეთში. შავი ზღვითა და ბოსფორის სრუტით კონსტანტინეპოლში ჩავიდა.

ამ მოგზაურობის შესახებ ნობელიანტი მწერალი მეგობარს სწერდა:

„ამაზე გასაოცარი და შენანიშნავი ზღაპარი ჩემს ცხოვ-

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი **მიჰარისა კჰვლიოვილი**.
 ტელ.: 2 79 63 91;
 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



– რა ფორმით და რა პირობებით ხდება ჯარიმის, როგორც სასჯელის სახის, გამოყენება?

– სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად მთლიანად წარმოგიდგენთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის შინაარსს:

– **მუხლი 42. ჯარიმა**

1. ჯარიმა არის ფულადი გადასახდელი.
2. ჯარიმის მინიმალური ოდენობაა 2000 ლარი. თუ ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლის საწესდებო სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები.
3. ჯარიმის ოდენობას სასამართლო ადგენს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც განისაზღვრება მისი ქონებით, შემოსავლით და სხვა გარემოებით.
4. სასამართლომ განაჩენში უნდა მიუთითოს გადასახდელი ჯარიმის ოდენობა ლარებში.
5. ჯარიმა დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დამატებით სასჯელად გათვალისწინებული არ არის.
- 5¹. თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუუნაროა, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს.
6. თუ მსჯავრდებული თავს არიდებს ჯარიმის გადახდას, ან თუ გადახდევინება შეუძლებელია, ეს სასჯელი შეიცვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, გამასწორებელი სამუშაოთი, თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, გამასწორებელი სამუშაოს ან თავისუფლების შეზღუდვის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: დაკისრებული ჯარიმის 50 ლარი – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ოთხი საათი, გამასწორებელი სამუშაოს ერთი დღე, თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე. ამასთანავე, ჯარიმის ნაცვლად დანიშნული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისათვის, გამასწორებელი სამუშაოსათვის ან თავისუფლების შეზღუდვისათვის ბოროტად თავის არიდების შემთხვევაში იგი შეიცვლება თავისუფლების

აღკვეთით, ამ კოდექსით სასჯელის ამ სახისათვის გათვალისწინებულ ფარგლებში და დადგენილი წესით.“

– რა იგულისხმება თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევაში? რა ვადით ხდება თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა?

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ნიშნავს იმას, რომ მსჯავრდებულს ეკრძალება ეკავოს დანიშნებითი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ანდა ექვეოდეს პროფესიულ ან სხვაგვარ საქმიანობას.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ძირითად სასჯელად ინიშნება ერთიდან ხუთ წლამდე ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად – ექვსი თვიდან სამ წლამდე ვადით.

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის დამატებით სასჯელად დანიშნება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელად არაა გათვალისწინებული ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, თუ დანაშაულის საშიშროების ხასიათის, ხარისხისა და დანაშაულის პიროვნების გათვალისწინებით სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს შეუნარჩუნოს მას თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლება.

ძირითად სასჯელად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ან გამასწორებელი სამუშაოს დანიშნვისას, აგრეთვე პირობითი მსჯავრის დროს დამატებით სასჯელად დანიშნული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ვადა გამოიანგარიშება სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. ძირითად სასჯელად თავისუფლების შეზღუდვის ან თავისუფლების აღკვეთის დანიშნის დროს დამატებით სასჯელად დანიშნული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ვადა გამოიანგარიშება ძირითადი სასჯელის მოხდის მომენტიდან, ასევე ვრცელდება ძირითადი სასჯელის მოხდის მთელ ვადაზე.



პირობები თრგუნავს, მაგრამ ამაზე მხოლოდ ერთ ფრაზას თუ წერს, ძირითადად მინც მოხიბლულია.

„დუქნებში უმთავრესად აბრეშუმის ქსოვილი, ნაქარგები, ხალიჩები, იარაღი და სამკაული იყიდება... აქა-იქ, პატარა ჯიხურებში გადაწერები სხედან და წერენ, სხვადასხვა დაკვეთას ასრულებენ. წიგნებით არიან გარემოცულნი. ეს წიგნები გაუგებარი ასოებით არის აჭრელებული. არაფერი გასაოცარი არ არის, რომ ასეთი ჭადარა და სერიოზულები არიან, მათ ზომ ისწავლეს ეს უძველესი ანბანი და ამ ანბანით დაწერილი წიგნების წაკითხვა. ვნახეთ აგრეთვე სერიოზული ყმაწვილები, ილიაში სამწერლო აღჭურვილობა ამოუდევიათ, ალბათ დვთისმეტყველის ან ადვოკატის მოსწავლეები იყვნენ... გადამწერებს თავის დაკვრით და მოწიწებით ესალმებიან. გადამწერის ხელოვნება წმინდათაწმინდაა,

მოსწონს აქაურთა წენარი და აუჩქარებელი ცხოვრება – დაშორებული ქვეყნიერების ფაციფუსს:

„აქ მყუდროებაა, ირგვლივ კი თანამედროვე სავაჭრო ქალაქისთვის დამახასიათებელი რუზრუზი. იშვიათად აქ ხმამაღალი ლაპარაკი ან წამოყვირება გაიგონოთ. ხმადაბალი საუბარი, თავის ოდნავი დაკვრა, და მორჩა. აზიურ უბანში ქალი თითქმის არ ჩანს. მაგრამ ზოგჯერ ნახავ ერთმანეთთან მოსაუბრე ორ ქალს, რომლებსაც ხელში ბავშვები უჭირავთ, ისინიც თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობენ. სომხები არიან გამონაკლისნი. დგანან დუქანში და ხმამაღლა აქებენ თავიანთ იარაღს. და აშკარად ატყუებენ მყიდველს. ატყუებენ აქაც და სხვაგანაც. ებრაელს შეუძლია ათი ბერძენი გააბრიყვოს, სომეხი ათ ბერძენსაც გააბრიყვებს და ამდენივე ებრაელსაც. ასე ამბობენ აღმოსავლეთში.

კნუტ ჰამსუნი თბილისიდან

რებაში აღარასოდეს იქნება. ეს სხვა სამყაროა, სადაც ხალხი უფრო ლამაზია, ღვინო – უფრო წითელი და მთები – უფრო მაღალი. და მგონია, რომ ყაზბეგის სიახლოვეს ღმერთი ცხოვრობს მუდამ...“

კნუტ ჰამსუნს კავკასიური შთაბეჭდილებები თავის საუკეთესო ნაწარმოებად მიაჩნდა, თუმცა ნობელის პრემია მიიღო რომანისთვის „მიწის წვენი“.

ასი წლის შემდეგ ორმა ნორვეგიელმა ჟურნალისტმა მწერლის გზა გაიარა, რათა „მოემეზნათ ზღაპრული სამეფო“. და აიოვეს კიდევ, რის შესახებაც გვიამბეს მოგზაურობის ჩანაწერებში „ზღაპრულ სამეფოში – ასი წლის შემდეგ“. „არ შეგვისვამს თერგის, არაგვისა და მტკვრის წყალი, მაგრამ შევეცდებით კვლავ მოვხვდეთ აქ. ეს არის ზღაპარი, განუყოფელი და მკაცრი“.

ელზა ნაბახტაძე

სასაულოქველი ხატი



მა: დამბრუნე ჩემი ძველი შესამოსელიო... იმ წამსვე გამოვადე კარადის კარები, სადაც ძველი კიოტი იყო შენახული, გავხსენი მუქი შინდისფერი ნაჭრის სახვევი და ჰოი საოცრება – დავინახე დედაღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატება. გაცოცხლდა და გავიგებულმა, უმაღლეს ჩემს მეუღლეს ვუხმე და დავრწმუნდი, რომ მარტო მე არ ვხედავდი დედაღვთისმშობლის ხატებას – მანაც იგივე დაინახა. რატომ უნდა ხატი ჩავაბრძანე ძველ კიოტში, ხოლო ახალ კიოტში ადგილი მისმა ასლმა დაიკავა.

კონკრეტულად ამ ხატთან დაკავშირებით გეტყვით, რომ მრავალი უშვილო სათვის შვილი მიუცია, მრავალი სნეული განუკურნებია, (უკურნებელი დაავადებულიც კი), მე შეგნებულად არ ვასახელებ მათ სახელებს. ხატის მიერ აღსრულებულ სასწაულებზე შექმნილ დოკუმენტურ ფილმს, მსურველები ნახვენ საიტზე: www.mamaioane.ge.

– როდის შეიძლება ხატთან მიახლება და ლოცვა? როგორ მოვიდნენ თქვენთან ტაძარში?

– ტაძარი ღიაა ყოველ შაბათს 10.00 – 18.00 და კვირას 9.00 – 17.00.

ასევე, დღესასწაულებზე და დღესასწაულების წინა დღეებში, დანარჩენ დღეებში კი ხატი მორწმუნე ოჯახებს სტუმრობს.

მოამზადა
ნინო ანდრონიკაშვილმა

ინტერვიუ დეკანოზ **ირანე ჩიზოზიკიანთან** – როგორც ვიცი, თქვენ ბრძანდებით სოფელ დიდმის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის წინამძღვარი, სადაც დაბრძანებულია ყაზანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი. ბევრი გვსმენია ამ ხატის მიერ აღსრულებულ სასწაულებზე და რას მოგვითხრობთ ამ ხატის შესახებ?

– ყაზანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი 16 წლის წინ, ჩემი ლოცვა-კურთხევით დაიწერა და მას შემდეგ ჩემი და ჩემი ოჯახის მფარველი ხატია.

ამჟამად ეს ხატი დაბრძანებულია ზემოხსენებულ ტაძარში, რათა მართლმორწმუნე მომლოცველებმა მასთან მიახლოება და მოლოცვა შესძლონ.

– რაში გამოიხატება ამ ხატის სასწაულმოქმედება?

– ამ ხატს წლების მანძილზე, მრევლის თხოვნით სახლების კურთხევისას, თან დავაბრძანებდი. მადლიერმა მრევლმა ყაზანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ძვირფასი კიოტი შესწირა, გამიხარდა და გადავაბრძანე მასში. ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც ხატთან ვლოცულობდი, უეცრად ხმა ჩამეს-

„საერთო გაზეთის“ რედაქცია თანაგრძობას უცხადებს მწერალ გური ოტობაიას დედის **კლარა გელენაგა-ფიტილაგას** გარდაცვალების გამო.

იცით თუ არა, რომ...

ტატუირება ძველი წელთაღრიცხვით მეხუთე საუკუნეში, იაპონიაში იღებს სათავეს და მას ირეპუმი ერქვა.

აღიარებულ მატადორ ქალს ქრისტიან სანჩესს, თავისი კარიერის მანძილზე ოთხასზე მეტი ხარი ჰყავს მოკლული.

შუა საუკუნის ციხესიმაგრეების დილეგებში უმეტესად დამწყვდეული ყავდათ არა კრიმინალები, არამედ ტყვე რაინდები, რომლებიც გამოსასყიდის

მიღებას წლების მაძილზე ელოდნენ.

სირაქლემას თვალები მისივე ტვინზე დიდა.

ღარიბ ადამიანებს მაიას ტომის ინდიელები საკუთარ სახლში მარხავდნენ.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ენდრიუ ჯონსონს არასოდეს უსწავლია სკოლაში. მას კითხვა 17 წლის ასაკში შეასწავლა მომავალმა მეუღლემ ელიზა მაკარდელი.

სახალსო მკურნალი (მცენარეული პანასეა)



რეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვა-

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შაბიძლიათ დაუკავშირდეთ: **ქ. თბილისი, ფოთის ქ. №2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63**

კონსტანტინი ფოთკარაი
ფკუნადენდ

გაქვნი: 8 ლ.
უფროსნი: 10 ლ.

კაკაეა და მოაფარა

11.00 - 20.00
ტელ. 2-93-32-81

კოლხაუკანოზის პოლკანი
საკაჭრო ტანტარი ჯითისი
www.trogay.ru

FAUNA LAND

ავეჯის გადაზიდვის სერვისი

2 25-60-60

ISSN 2233-3983

9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლავის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com